

სრული სვლით - ევროპისკენ!

A3



თქვენი აფხაზეთი

A7



ლოპესი ესპანურად

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 23 თებერვალი, 2006 წელი. №38 (1190)

ფასი 50 თეთრი

## სპორტი

### ელენპიადა



ოლიმპიური თამაშების მე-11 დღე ფიგურული სრიალის ქართველი გულშემატკივრისთვის წარმოუდგენელი შედეგით დასრულდა. 16 წლის ელენე გედევანიშვილმა ყინულის დედოფლებს შორის მე-6 ადგილი დაიკავა და თავისუფალ პროგრამაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა!

A6

# კრიტიკული ფაზა და ტაიმ-აუტი

## ვითარება, როცა დიდი ქვეყანა უფრო ცუდად წარმოჩინდება

სოფო ბუკია

*საქართველოსა და რუსეთის დიპლომატიური დაპირისპირება კრიტიკულ ფაზაში შედის. "ცივი ომი" - ასე უწოდებენ რუსულ პრესაში აღნიშნულ დაპირისპირებას, სადაც "რკინის ფარდის" როლი საქართველოს მოქალაქეებზე რუსეთის ვიზების გაცემის შეჩერებამ ითამაშა. რუსეთმა დიპლომატიური ტაიმ-აუტი აიღო. რამდენად და ვისთვის უფრო ეფექტური იქნება ეს პაუზა, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. როგორც ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საერთაშორისო მხარდაჭერას აქვს. ამ მხარდაჭერამ კრიტიკულ ზღვარს უნდა მიაღწიოს, რომლის მერეც რუსეთი იძულებული იქნება, საკუთარი პოზიციები შეარბილოს. როგორც ჩანს, ეს ხელისუფლებაშიც კარგად ესმით. პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი, რომლის გეგმებში კრემლმა თვითნებური კორექტივები შეიტანა, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ამბობდა, რომ მოსკოვში ჩაშლილ ვიზიტზე მეტად დღეს მთავრობას ნიუ-იორკის ბიზნესფორუმი ადარდებს.*



თბილისს ცრემლების არ სჯერა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნიანგის ცრემლები

დიმიტრი ავალიანი

"ძალიან მეცოდებიან ქართველები" - ვლადიმირ პუტინის მიერ ბაქოში წარმოთქმული ამ სიტყვების მოსმენისას, განსაკუთრებით კი მისი სახის გამომეტყველების შემხედვარე, ძნელი იყო, გული არ აგჩუყებოდა. რა თქმა უნდა, თუ რეალურად საქართველო-რუსეთის პრობლემების საქმის კურსში მაინცდამაინც არ ხარ...

პუტინის მიერ გამართული მინი-წარმოდგენა ერთი მარტივი პროპაგანდისტული ფორმულის გატარებას ისახავდა მიზნად - მთელი პრობლემები ორი ქვეყნის ურთიერთობებში დაკავშირებულია საქართველოს ხელისუფლების სურვილთან, ყურადღება შიდა პრობლემებიდან გარეშე მტრის ძიებაზე გადაიტანოს.

ეს რუსი პოლიტოლოგების მიერ კარგად აპრობირებული ფორმულაა - საქართველოს ხელისუფლების "უსაფუძვლო აგრესია" რუსეთის მიმართ ემსახურება, ერთი მხრივ, საკუთარი რეიტინგის აწევას ქვეყნის შიგნით და, მეორე მხრივ, ამერიკელი მფარველებისაგან (ფულადი) სარგებლის მიღებას "ანტირუსული" პოზიციისთვის.

თითქოს არც ყოფილა სისხლიანი კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე, რუსი "მშვიდობისმყოფელების" მიერ დაცული, რუსეთისვე მოქალაქეებით დასახლებული და რუსეთიდან დანიშნული "კადრების" მიერ მართული სეპარატისტული ანკლავები, რუსეთისავე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულნი საქართველოს წინააღმდეგ. ეს წვრილმანი დეტალებია, რომელიც რუს "ობივატელს" არ უნდა აინტერესებდეს.

თითქოსდა აგრესორი, სეპარატისტების მხარდამჭერი სახელმწიფოს წინააღმდეგ ხმის ამოღება მხოლოდ დიდი ფულის საფასურადაა შესაძლებელი, სხვა შემთხვევაში - არასოდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პატარკაციშვილის წინადადებით ბერეზოვსკი "თავისუფლდება"

*ლონდონში მცხოვრებმა ცნობილმა რუსმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ, ბადრი პატარკაციშვილთან ერთობლივი ბიზნესის თავისი წილი აქტივები, მათ შორის - საგამომცემლო სახლი "კომერსანტი", ქართველ ბიზნესპარტნიორს გადასცა. ბერეზოვსკის არ დაუკონკრეტებია, რომელი აქტივებისგან შედგება მისი და პატარკაციშვილის ერთობლივი ბიზნესი. მან მხოლოდ აღნიშნა, რომ ერთობლივი ბიზნესის ღირებულება "მილიარდობით დოლარია". ამ ეტაპზე საფინანსო სტრუქტურები აღნიშნულ ბიზნესაქტივებს აფასებენ, რათა ზაფხულისთვის მათი ოფიციალური გადაფორმება მოხდეს.*

დიანა ჩაჩუა

"კრემლმა, როგორც იქნა, მოახერხა ბორის ბერეზოვსკის შეშინება," - წერს რუსული მედია. პრინციპში, ამას არც თავად ბერეზოვსკი მალავს. რუსი ბიზნესმენის განცხადებით, მან თავის აქტივებზე უარი რუსი ჩინოვნიკების ზეწოლისგან გათავისუფლების მოტივით თქვა.

**"სამშაბათს, ლონდონში მე და ბადრი პატარკაციშვილმა ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ერთობლივი ბიზნესიდან ყველა ჩემი აქტივის დაუყოვნებლივ მის მმართველობაში გადაცემის თაობაზე,"** - განაცხადა ბერეზოვსკიმ "ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში. ამასთან, ის მიანიშნებს, რომ პატარკაციშვილისგან ცალკე ბიზნესი არ გააჩნია.

ბერეზოვსკიმ საკუთარი აქტივების პარტნიორისთვის გადაცემის შესახებ პირველად 17 თებერვალს განაცხადა: **"უფლება არ მაქვს, პატარკაციშვილის ბიზნესი რისკის ქვეშ დავაყენო. ბიზნესში საკმაოდ დიდი პოლიტიკური რისკია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რუსეთის ახლანდელ ხელისუფლებას არ ეთანხმებიან. ბადრი ყოველთვის ბიზნესით იყო დაკავებული და არასდროს - პოლიტიკით. ამ გადაწყვეტილებით ბადრის ბიზნესს პოლიტიკურ რისკს ვხსნი."**

გაგრძელება A5 გვერდზე

"ჩემ გამო ვინმეს რომ ეშიმშილა, ძალიან გამიჭირდებოდა," - აცხადებს "სტემკორის" მმართველი დირექტორი

A5

# GRDC - ახალი სიტყვა ქართულ საინვესტიციო ბაზარზე

სალომე ძაძამია

*საქართველოს რეკონსტრუქციის და განვითარების კომპანია GRDC საქართველოს ბაზარზე 2004 წლიდან ფუნქციონირებს. კომპანიის ძირითადი მიმართულება უძრავი ქონების შეძენა და განვითარებაა. GRDC ახდენს სახსრების ინვესტირებას თბილისის ცენტრში, პრესტიჟულ ადგილას განთავსებულ უძრავ ქონებაში. ფირმის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მათი საქმიანობა და გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ GRDC-ს სერიოზულ განზრახვებზე ვიმსჯელოთ. დირექტორი ირაკლი კილაურიძე GRDC -ის ძირითად გეგმებსა და სამომავლო პროექტებზე საუბრობს.*

გაგრძელება A5 გვერდზე



"თბილისს ექნება რეალური პრეტენზია, კავკასიის საქმიანი და ფინანსური ცენტრი გახდეს."

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

# შეკითხვები ლევან კალაძის საქმის ირგვლივ

*ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული დანაშაულის - ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცების საქმის გახსნა ნამდვილად იყო ის მოვლენა, რომელიც საზოგადოებისთვის თვით შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს უნდა ეცნობებინათ. აქამდე ამ საქმის გამოძიება შინაგან საქმეთა ხუთ მინისტრსა და ოთხ გენერალურ პროკურორს მოუწია და ყველა მათგანი საზოგადოებას ამ გატაცების გახსნას დაბეჯითებით ჰპირდებოდა. სწორედ ვანო მერაბიშვილი აღმოჩნდა პირველი მინისტრი, რომელმაც ჯერ "24 საათთან" ინტერვიუში, შემდეგ კი პარლამენტში გამოსვლისას გადაჭრით განაცხადა, რომ ამ საქმის გახსნის პერსპექტივა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ამ განცხადებიდან ორიოდ თვის გასვლის შემდეგ საქმის გახსნა, მეტიც - გატაცებულის ცხედრის მიგნება და დამნაშავეების დაკავება მოულოდნელი ნამდვილად გახლდათ. რამ მისცა გადამწყვეტი ბიძგი ესოდენ რეზონანსული, მაგრამ უიმედოდ გამოცხადებული დანაშაულის კვალზე დადგომას, ამის შესახებ სამართალდამცველებს არაფერი უთქვამთ. თუმცა, ლევან კალაძის გატაცების გახსნა საეჭვოდ ემთხვევა მართლმსაჯულების ხელში ცოტა ხნის წინათ იმ პირების ჩავარდნას, რომლებიც სხვადასხვა დროს ამ დანაშაულთან იყვნენ დაკავშირებულნი.*

თამარ კაციტაძე

დღეს უკვე სადავოდ აღარ არის მიჩნეული, რომ 2001 წლის 4 ივლისს, ვაზისუბანში და 2006 წლის 7 იანვარს უპატრონოთა სასაფლაო №5502-ში, ნაპოვნია 2001 წლის 23 მაისს გატაცებული ლევან კალაძის ცხედარი, რაც ქართველი სამართალდამცველების მიერ შეკრებილ ოპერატიულ ინფორმაციასთან ერთად, ამერიკის გამოძიების ფედერალურ ბიუროში ჩატარებული ექსპერტიზითაც დადასტურდა. FBI-ის დასკვნის თანახმად, წლების განმავლობაში უპატრონო მიცვალებულად მიჩნეული მამაკაცის დნმ-ი ლევან კალაძის დედის დნმ-ს დაემთხვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ამინდი

| | 23/02 | 24 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 12 |
| გორი | 11 | 12 |
| ონი | 8 | 7 |
| ზუგდიდი | 20 | 20 |
| ახმეტა | 13 | 12 |
| სამტრედია | 18 | 18 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ახალი მისამართია:
გამრეკელის ქ. №51
(შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან)
ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86






| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ეკონომიკა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| პროექტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# "იძულებითი ნაბიჯი" - სადამსჯელო ღონისძიება

### რუსეთში წამსვლელთათვის ვიზების გაცემა შეწყვეტილია

*უკვე სამი დღეა, რაც რუსეთის საკონსულომ საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემა შეწყვიტა. ქართული მხარე რუსეთის ამ ნაბიჯს ცივილიზებული ურთიერთობების ნორმების დარღვევად მიიჩნევს.*

ნათია მსხილაძე

გუშინ რუსეთის საელჩოს წინ შეკრებილი მოსახლეობა რუს დიპლომატთან შეხვედრას ამაოდ ცდილობდა. ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრა არ ისურვა და საელჩოს შენობა უკომენტაროდ დატოვა. რუსეთის დიპმისიის ხელმძღვანელის ნაცვლად მოქალაქეებს განმარტებები საელჩოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მისცა. მიხეილ სვირინმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ გააცნო მათი გადაწყვეტილების მიზეზი. **"ეს არის რუსეთის მხრიდან იძულებითი ნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია შეთანხმება რუსეთის ბაზებისა და სამხედრო ობიექტების გაყვანის შესახებ, რომელიც ასევე ითვალისწინებს რუსი სამხედროების როტაციას, ქართული მხარე უკვე ერთი წელია ხელოვნურ სიძნელეებს ქმნის კავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენლებისთვის. ასევე, არ უგრძელებს ვიზებს საქართველოში მყოფ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს,"** - ნათქვამია რუსეთის საელჩოს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საკონსულომ საქართველოში, საქართველოს მოქალაქეთათვის ვიზების გაცემა 21 თებერვლიდან შეწყვიტა. საკონსულო გამონაკლისს მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათის შემთხვევებში დაუშვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზების შეწყვეტა პრემიერ-მინისტრის ზურა ნოღაიდელის მოსკოვში ვიზიტის გადადებას მოჰყვა. უფრო სწორად, პრემიერის მიღებაზე მოსკოვმა უარი თქვა. კრემლის ასეთი ნაბიჯი ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა პროვოკაციადაც კი შეაფასა. ნოღაიდელის ვიზიტის გადადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა და ოფიციალური განცხადება გააკეთა.

საგარეო უწყების განმარტებით, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დაძაბულობის მოხსნის მიზნით აუცილებელია მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების ჩატარების, თითოეული შესაძლებლობის გამოყენება.

საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს რუსეთის საელჩოს განმარტება ვიზების არგაცემასთან დაკავშირებით ალოგიკურად მიაჩნია. კერძოდ, ბეჟუაშვილის თქმით, არასწორია (საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გაცემის) საკითხის დაკავშირება ქართული მხარის მიერ რუსი სამხედრო პირებისთვის ვიზებზე უართან, რადგან რუს სამხედროებზე ვიზების გაცემა რეგულირდება ცალკე შეთანხმებით. (თუმცა ეს შეთანხმება ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის. დღეისთვის, საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ მხოლოდ მხარეების ერთობლივი განცხადება არსებობს.)

**"რუსეთის მხარის გადაწყვეტილება ვიზიტის გადატანის შესახებ აბრკოლებს შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებას. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს გარემოება: მსგავსი გამონათქვამები გაისმის იმ ფონზე, როდესაც უშუალოდ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან, ცხინვალის რეგიონში, კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე ტარდება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 58-ე არმიის წვრთნები, რომლის შემადგენლობაშიც შედის ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობოების ბატალიონი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ადასტურებს რა ქართული მხარის მზადყოფნას, შეასრულოს ლუბლიანაში ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მიერ მხარდაჭერილი სამშვიდობო გეგმის დებულებები, განახორციელებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა არ დაუშვას ვითარების შემდგომი ესკალაცია და ცალმხრივად განაგრძობს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ინიციატივების რეალიზაციას,"** - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

# ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს პარლამენტში იხმობენ

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციები - "დემოკრატიული ფრონტი" და "მემარჯვენე ოპოზიცია" - ორშაბათს გაერთიანებულ სხდომას ჩაატარებენ, რომელზეც შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი არიან მიწვეულნი. დეპუტატებს სურთ, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილისგან მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სანდრო გვირგვლიანის გახმაურებული მკვლელობის გამოძიება.

**"თუ ხელისუფლება თვლის, რომ რუსეთთან დაპირისპირება გადაფარავს ამ თემას, ძალიან ცდება. გასაგებია, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, მაგრამ ასეთივე მტრად ხომ არ უნდა გვექცეს ჩვენივე ხელისუფლება, რომელიც საფრთხეს და საშიშროებას უქმნის თავისი მოქალაქეების სიცოცხლეს?"** - გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე არაერთი საყვედური გამოითქვა კობა დავითაშვილისა და კოკა გუნცაძის მიერ. "კონსერვატორების" ლიდერის მტკიცებით, გვირგვლიანის მკვლელობის საქმე გასცდა კრიმინალური შემთხვევის რანგს და ისეთივე დატვირთვა შეიძინა, როგორიც ღონღაძის მკვლელობამ - უკრაინაში, და სანაიას მკვლელობამ - საქართველოში.

დავითაშვილი დაჟინებით ურჩევს ხელისუფლებას, **"უმოკლეს ვადაში დააპატიმროს გვირგვლიანის მკვლელობის უშუალო შემსრულებელი ოლეგ მელნიკოვი და ინციდენტის შემსწრე თანამდებობის პირთაგან ერთ-ერთმა მაინც დაწეროს განცხადება და დატოვოს თანამდებობა."**

თავის მხრივ, კოკა გუნცაძე მიიჩნევს, რომ სამართალდამცავების პასიურობა იმის ბრალია, რომ, თავის დროზე, დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის საქმე მიფუჩეჩდა. **"თუ საზოგადოება ახლაც გაჩუმდება, ხვალ ახალი დანაშაულების მოწმენი გავხდებით,"** - ვარაუდობს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში, თუ ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელები ორშაბათს პარლამენტში არ გამოცხადდებიან, ოპოზიციონერი დეპუტატები ამას კონფრონტაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასებენ და "საპასუხო ნაბიჯების" გადადგმის უფლებას დაიტოვებენ.

ოპოზიციონერთა მოთხოვნას გუშინვე გამოეხმაურა შს მინისტრი. **"მზად ვარ ნებისმიერ დროს მივიდე პარლამენტში და დეპუტატების ნებისმიერ კითხვას ვუპასუხო მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე,"** - განუცხადა ოთხშაბათს ჟურნალისტებს მერაბიშვილმა.

# "სახალხო ბანკის" მორიგი სიახლე

თამარ მაისურაძე



ბესო გულაშვილის ფოტო

*"სახალხო ბანკმა" და "გერმანიის შემნახველი ბანკების ფონდმა საერთაშორისო თანამშრომლობისთვის" ხელი მოაწერეს შეთანხმებას "საქართველოსა და აზერბაიჯანში საცალო საბანკო სისტემის განვითარების პროექტის" ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული პროექტი გერმანიის განვითარების ბანკის KFW-ს მხრიდან "სახალხო ბანკის" სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს.*

**"ჩვენ ბანკსა და "გერმანიის შემნახველი ბანკების ფონდს" შორის ხელმოწერილი დოკუმენტი "სახალხო ბანკის" სტრატეგიული განვითარების მხარდაჭერის გარანტიაა. ამდენად, გერმანიის მთავრობის მხარდაჭერა "სახალხო ბანკის" განვითარების ტემპებს დააჩქარებს და მისი მომსახურების ხარისხს გააუმჯობესებს. მართალია, "სახალხო ბანკი" ფილიალების, ბანკომატების, კლიენტებისა თუ ფულის ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ უცხოელი ექსპერტების მხარდაჭერა ჩვენთვის მაინც ძალზე მნიშვნელოვანია,"** - აღნიშნა "ქორთიარდ მარიოტში" შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ.

"სახალხო ბანკი" აქტიურადაა ჩართული აჭარაში მიმდინარე პილოტურ პროექტში, რომელიც "შემნახველი ბანკებისა" და "კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის" თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. ყოველივე ეს კი მიზნად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის მცირე კრედიტების გაცემას ისახავს. რაც შეეხება გუშინდელ შეთანხმებას, იგი პერსონალის განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ფიზიკურ პირებთან განხორციელებული საკრედიტო საქმიანობის მოდერნიზებას ითვალისწინებს; აგრეთვე, როგორც ახალი საკრედიტო და სადეპოზიტო პროდუქტების დანერგვას, ისე დღემდე არსებული პროდუქტების განვითარებას შეუწყობს ხელს.

ქართულ-გერმანული პროექტის ხელმძღვანელმა მარტინა შუდციაკმა აღნიშნა, რომ გერმანიის მაგალითს ქართულმა მხარემაც უნდა მიბაძოს. კერძოდ, მისი აზრით, საქართველოს საბანკო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის ფინანსური უზრუნველყოფის გაზრდას და, შედეგად, დანაზოგების შექმნას.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე მიესალმება საქართველოში საბანკო სექტორის სწრაფ განვითარებას. **"სასიამოვნოა, რომ საბანკო სექტორის განვითარების კიდევ ერთი შემთხვევის მოწმენი ვართ. "სახალხო ბანკის" ის წარმატებები, რაზეც მისმა ხელმძღვანელმა მოგვახსენა, მეტ-ნაკლებად ასახავს ქართული საბანკო სისტემის განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლა მხოლოდ ფინანსურ წარმატებას არ ნიშნავს. ეს საერთაშორისო გამოცდილების დამკვიდრება და ჩვენს ქვეყანაში იმ დიდი გამოცდილების გაზიარებაა, რაც დასავლეთის ქვეყნებს აქვთ,"** - აღნიშნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა. ამ უკანასკნელს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალიაც დაეთანხმა, რომელმაც დასძინა, რომ **"თავის დროზე, გერმანიაში, "შემნახველმა ბანკებმა" დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობაში. სწორედ "შემნახველი ბანკების" წყალობით დაძლია გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ფინანსური კრიზისი. შესაბამისად, "სახალხო ბანკმა" სწორი გადაწყვეტილება მიიღო"**.

ცერემონიალზე, სადაც, ძირითადად, საბანკო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ თავმოყრილნი, გიორგი გოგუაძემ "სახალხო ბანკის" წარმატებებზეც ისაუბრა. ბანკმა სამწლიანი არსებობის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 130 ფილიალი გახსნა. "სახალხო ბანკი" ის ერთადერთი საბანკო ინსტიტუტია, რომელიც საქართველოს 45 რაიონს მოიცავს. ცნობისთვის, ბანკის მომსახურებით ყოველთვიურად მილიონნახევარი მომხმარებელი სარგებლობს. "ყველაზე სწრაფად მზარდი ბანკი საქართველოში" მოგების თვალსაზრისით პირველ ადგილზეა. გიორგი გოგუაძის შეფასებით, ფონდისა და "სახალხო ბანკის" თანამშრომლობა სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა.

## პასუხი ცხინვალიდან

**"სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას საკმაოდ ეფექტური ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა გააჩნია, რომლითაც საჰაერო სივრცე სრულად და განუწყვეტლივ კონტროლდება და რომელსაც საქართველოს მხრიდან რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევა არაერთხელ დაუფიქსირებია,"** - აცხადებს ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის შს საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი.

არაღიარებული სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციით, როგორც ჯიოევმა განაცხადა, აღნიშნული სისტემის არსებობის მიუხედავად, "21 თებერვალს მას რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში საფრენი აპარატების შეჭრა არც რუსეთის და არც საქართველოს ტერიტორიებიდან არ დაუფიქსირებია." **"ვფიქრობ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იმ პროვოკაციათა ნაწილია, რასაც ოფიციალური თბილისი ბოლო დროს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ვითარების გასამწვავებლად მიმართავს,"** - თქვა მან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, 21 თებერვალს რუსეთმა საქართველოს საჰაერო სივრცე ორჯერ დაარღვია.

*პრაიმ-ნიუსი*

## საერთაშორისო ორგანიზაციები ცესკო-სთან მჭიდრო თანამშრომლობას კვლავ გააგრძელებენ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არასერიოზულს უწოდებს ოპოზიციური ძალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც ყოველთვის თანამშრომლობდნენ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, საარჩევნო ადმინისტრაციას დაფინანსება შეუწყვიტეს.

"საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ყოველთვის დიდი იყო საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში, რადგან არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემებს ცესკო მხოლოდ საკუთარი ძალებითა და მის ხელთ არსებული რესურსებით ვერ მოაგვარებს. სწორედ ამ მიზნით, გუშინ შედგა შეხვედრა ეუთოსა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან, ქალბატონ გუმპერბერგთან და ბატონ გაონთან. ამ კუთხით მხარეთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაქსიმალურად გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარება. ძალიან მნიშვნელოვანია, ყველამ გაითავისოს, რომ საერთაშორისო საზოგადოება ცესკო-სთან, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტთან თანამშრომლობს. აქედან გამომდინარე, ხმები იმის შესახებ, რომ არჩევნების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციები შეწყვეტენ თანამშრომლობას საარჩევნო ადმინისტრაციასთან, არასერიოზულად მიმაჩნია," - აცხადებს გურამ ჩალაგაშვილი.

მისივე თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით არაერთი პროექტი განხორციელებულა და გუშინდელ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ განიხილეს სამომავლო პერსპექტივები, განსაკუთრებით ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით. "მოხდა ინფორმაციის გაცვლა. გარდა ამისა, დაგეგმილია შეხვედრები ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლებიც არჩევნების თემატიკაზე მუშაობენ, აგრეთვე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. ცესკოს შესაბამისი სამსახურებს დაევალათ, გააგრძელონ მუშაობა უკვე არსებულ პროექტებზე და შეიმუშაონ ახალი კონცეფციები. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი არჩევნებისათვის მზადებაში ცესკო მარტო არ იქნება," - აღნიშნა ცესკო-ს ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ.

*მედიანიუსი*

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია აზერბაიჯანში მიემგზავრება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია დღეს აზერბაიჯანში მიემგზავრება, სადაც 24-25 თებერვალს ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე სუამ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეების შეხვედრა შედგება.

საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი უხელმძღვანელებს. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ასევე სხვა დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენლები.

შეხვედრებზე განიხილება კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული პროექტები, ამ რეგიონიდან ევროპის ენერგობაზარზე მათი ალტერნატიული გზებით მიწოდებასთან, ტრანსპორტირებასა და ტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები.

ამასთან, გათვალისწინებულია ენერგოუსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავებისა და ერთობლივი პოლიტიკური განცხადების გაკეთების შესაძლებლობა, აგრეთვე, ამ მხრივ თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.

მინისტრის მოადგილეების შეხვედრამდე ერთი დღით ადრე კი, დღეს ბაქოში გაიმართება სუამ-ის ეროვნულ კოორდინატორთა მორიგი შეხვედრა, რომელზეც 2006 წლის სუამ-ის სამუშაო გეგმის პროექტს, სუამ-ის ბაზაზე ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისათვის შემუშავებულ ფუძემდებლურ დოკუმენტებს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სუამ-ის სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ.

ამავე შეხვედრაზე იმსჯელებენ, რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარების მიზნით, სუამ-ის ქვეყნების ძალისხმევის კოორდინაციაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერაზე, კოსოვოს სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მიმართულებით შემუშავდება სუამ-ის ქვეყნების ერთობლივი მოქმედებების სამუშაო გეგმა.

*ინტერპრესნიუსი*

## ჯარიმა ერთი ევრო

სამი ფრანგი ფოტოგრაფი სიმბოლური თანხით დააჯარიმეს, რადგან მათ ფოტოებზე აღბეჭდეს 1997 წელს ავტოკატასტროფაში მოყოლილი პრინცესა დიანა და მისი მეგობარი, დოდი ალ-ფაიედი. მათ თითო ევროს გადახდა დაეკისრათ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამრთლომ გამოაქვეყნა, - იუწყება "ფრანს პრესი".

აღსანიშნავია, რომ 2003-2004 წლებში ფოტოგრაფებს მოეხსნათ ბრალდება, რომელიც პირად ცხოვრებაში შეჭრას შეეხებოდა. დოდის მამამ, ეგვიპტელმა მილიონერმა მუჰამედ ალ-ფაიედმა საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა საბოლოოდ პაპარაცებს ჯარიმის სახით თითო ევროს გადახდა დაეკისრათ.

სამმა ფოტოგრაფმა (ჟაკ ლანჟევანმა, ფაბრის შასერმა და კრისტიან მარტინესმა) 1997 წლის 31 აგვისტოს ისტორიული ფოტოები გადაიღო. მათ ფირზე ალმას გვირაბში მომხდარი ავტოკატასტროფის კადრები და ინგლისის მომაკვდავი პრინცესა აღბეჭდეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### მოკლედ

#### პროფკავშირების აქცია პარლამენტთან

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობის წინ მხოლოდ 20 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. როგორც პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, ზოგიერთი პოლიტიკოსი პარლამენტთან მისვლას და აქციისთვის პოლიტიკური სახის მიცემას გეგმავდა. სწორედ ამის გამო, პროფკავშირებმა აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს. მანამდე კი პროფკავშირების წევრებმა საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინ თეატრალიზებული აქცია გამართეს. ფეხმძიმე ქალები პარლამენტთან კომბოსტოებით ხელში მივიდნენ, იმის ნიშნად, რომ "ბავშვები კომბოსტოდან არ იბადებიან".

პროფკავშირების წარმომადგენელთა ინფორმაციით, პარლამენტის მიერ 2005 წელს მიღებული "სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონით საერთოდ გაუქმდა მუხლი - სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ, რომელიც დროებით შრომის უუნარობისა და დეკრეტულ შვებულებაში მყოფი დედების შრომის ანაზღაურების საკითხს არეგულირებდა. ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, შექმნილი სიტუაცია მრავალ პრობლემას უქმნის იმ ქალბატონებს, რომელთა ასაკი, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 20-დან 40-წლამდეა და მათ უნარი შესწევთ იყოლიონ შვილები. "ფაქტიურად, ახალი კანონის მიხედვით, მათი დეკრეტული შვებულების თანხა 600 ლარს ვერ ასცდება, რაც არ უნდა მაღალანაზღაურებად სამსახურში მუშაობდნენ," - აღნიშნა პეტრიაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

#### დამოკიდებულება ორმოცდაათს გადაცილებულ ადამიანებთან

ისანი-სამგორის რაიონში დღეს, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის ახალი უფასო სასადილო გაიხსნა. სასადილოს გახსნაზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მივიდა. სასადილო ერთ ჯერზე 50 კაცს მოემსახურება, ხოლო დღის განმავლობაში აქ 150 ადამიანს შეუძლია საკვების მიღება. სასადილოს გახსნისთვის საჭირო ხარჯები ბიზნესმენმა, მაღაზიების ქსელის მფლობელმა ჰამლეტ მერაბიშვილმა გაიღო, ხოლო პროდუქტებით უზრუნველყოფას თავის თავზე კომპანია "ეკო-ფუდი" იღებს. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ორმოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანების მიმართ დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. "სამშობლოს სიყვარული სწორედ ამ თაობამ იცის და ქვეყანას მათი დახმარებით გავაერთიანებთ. მათ ქვეყნის მშენებლობის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვთ," - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა. სასადილოს გახსნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე წუთით მოსახლეობას გაესაუბრა. **ინტერპრესნიუსი**

#### "საქართველოს გზის" გეგმებს დიპლომატები გაეცნენ

საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა, პარტია "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა პარტიის სამომავლო გეგმები დღეს საქართველოში აკრედიტებულ 23 საელჩოსა და მისიის წარმომადგენლებს გააცნო. შეხვედრაში დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, იტალიის, რუმინეთის, ჰოლანდიის, აშშ-ს, ლიტვის, ირანის, გერმანიის, საფრანგეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, პოლონეთის, შვედეთის, უკრაინის და სომხეთის საელჩოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სალომე ზურაბიშვილმა დიპლომატებს დეტალურად გააცნო მის მიერ დაფუძნებული პარტია "საქართველოს გზის" პროგრამა, ასევე მისი შეხედულებები რუსეთ-საქათველოს ურთიერთობების შესახებ. ზურაბიშვილი რამდენიმე დღეში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად საფრანგეთში გაემგზავრება. როგორც "ინტერპრესნიუსს" პარტია "საქართველოს გზის" პრესსამსახურში აცნობეს, სალომე ზურაბიშვილის პარტიის ყრილობა, სავარაუდოდ, მარტის შუა რიცხვებში, თბილისში გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

#### იწყება ცარიელი და არაპრივატიზებული ბინების აღწერა

რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ნადაშვილის განკარგულებით, მუნიციპალიტეტებმა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცარიელი და არაპრივატიზებული ბინების აღწერა დაიწყეს. "ცარიელი და არაპრივატიზებული ბინების აღწერა აქტიურად მიმდინარეობს. მოხდება მათი ინვენტარიზაცია, გასავლელია იურიდიული მხარე და სასამართლო პროცესები იმისათვის, რომ ქალაქში არსებული და არაპრივატიზებული ბინები რუსთავის საბინაო ფონდში გადმოვიდეს, ამის შემდეგ, ჩვენ მათ კომისიის მეშვეობით გაჭირვებულ ფენაზე და მრავალშვილიან ოჯახებზე გადავანაწილებთ," - განაცხადა "ინტერპრესნიუსთან" საუბარში რუსთავის მერის შემსრულებელმა დავით ნადაშვილმა. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტს პატრულთან და პოლიციასთან ერთად დაკეტილ ბინებზე ზედამხედველობა დაევალებათ იმისათვის, რომ მოსახლეობის მხრიდან დაკეტილ ბინებში თვითნებური შესახლება არ მოხდეს. **ინტერპესნიუსი**

*დღეს:* **"ტავ ჯორჯია" პირველი ინვესტორია საქართველოში, რომელმაც საერთაშორისო აეროპორტების მშენებლობა საკუთარი ბიზნესრისკითა და სახელმწიფოსგან ფინანსური უსაფრთხოების გარანტიის გარეშე დაიწყო.**

TAV Georgia

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# კრიტიკული ფაზა და ტაიმ-აუტი

პირველი გვერდიდან

პირველად საჯარო დუმილს პრეზიდენტი სააკაშვილი არღვევს და რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ დაძაბულ ვითარებას უშიშროების საბჭოს სხდომიდან ეხმაურება. პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველო მზადაა, რუსეთთან პოზიციების დასაახლოებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგას. ამასთან, სააკაშვილმა დასძინა, რომ ბოლო ხანებში სიტუაციის გამწვავებას თავად რუსეთი ცდილობს.

**"შემოღებულია საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემის დრაკონული წესები. და ეს მაშინ, როცა საქართველომ ცალმხრივ რეჟიმში რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა გაამარტივა,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ორ ქვეყანას შორის არსებულ დაძაბულობას მეზობელი აზერბაიჯანიდან ეხმაურება რუსეთის პრეზიდენტიც, რომელიც, მისივე თქმით, "ქართველების საცოდაობით" შეწუხებულია. რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ურჩია, უფრო მეტი დრო საკუთარი ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას დაუთმოს და გარეშე მტრების ძიებაზე ნაკლები იფიქროს.

**"ძალიან მეცოდება ქართველები... საქართველოში დღეს ძალიან რთული ეკონომიკური ვითარება და სოციალური პრობლემებია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ პრობლემებიდან ყურადღების გადატანითა და გარეშე მტრების ძიებით რაიმე მოგვარდება, ძალიან ცდება. საქართველოს ხელისუფლებას სოციალური ხასიათის პრობლემების მოგვარება, ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევს და ამ საკითხების გადაწყვეტა პარტნიორებთან დიალოგის გზით უკეთესი იქნება. საქართველოს ხელისუფლებაში არიან ძალები, რომელთაც რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება სურთ. მხედველობაში მყავს თავად პრეზიდენტი სააკაშვილიც. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პოზიტიური ტენდენციები გაიმარჯვებს,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა, რომელმაც ბაქოში ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანში "რუსეთის წელი" გახსნა.

ქართველ ექსპერტებს უჭირთ კონკრეტული პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორ განვითარდება ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობა.

ალექსანდრე რონდელის აზრით, რუსეთი დღეს პოლიტიკურად უფრო უხერხულ პოზიციაში იმყოფება, ვიდრე საქართველო. **"როდესაც დიდი და პატარა ქვეყნის ურთიერთობებში დიპლომატიური კრახია, ეს, ცხადია, არც ერთი ქვეყნის სასარგებლოდ არ მოქმედებს, მაგრამ მაინც, დიდი ქვეყანა უფრო ცუდად წარმოჩინდება. გავლენიანმა ჯგუფებმა, რომლებიც რუსეთში ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან, პუტინი საქართველოს მიმართ ყოვლად წამგებიან პოზიციაში ჩააყენეს. პუტინს არ დაუტოვეს მანევრირების საშუალება. შეიძლება, პუტინს უნდოდეს კიდეც მანევრირება, მაგრამ კუთხეშია მიმწყვდეული. ცხადია, ეს გაღიზიანებას იწვევს. მათ არ იციან, რა გააკეთონ. და ეს იმ ფონზე, როცა მთელი მათი პოლიტიკა იმის დემონსტრაციაა, თუ რა მნიშვნელოვანია რუსეთი გეოპოლიტიკურ სივრცეში - ხან "ჰამასს" პატიჟებენ, ხან - ირანელებს, და ა.შ.,"** - აცხადებს საქართველოს სტრატეგიულ და საერთაშორისო სწავლებათა ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი.

არჩილ გეგეშიძის აზრით, ორ ქვეყანას შორის არსებული **"დაძაბული ფონი კიდევ ცოტა ხანს შენარჩუნდება".** საქართველოს პოზიციის პრინციპულობა, ამავდროულად, წინდახედულობა და, რაც მთავარია, დასავლეთის მხარდაჭერის მაქსიმალური მობილიზება - ეს ის ფაქტორებია, რაც ექსპერტის აზრით, დიპლომატიურ ომში საქართველოს გამარჯვების საწინდარი უნდა გახდეს.

გეგეშიძე მიიჩნევს, რომ ნოღაიდელის ვიზიტის ჩაშლითა და ვიზების გაცემის შეწყვეტით რუსეთმა დიპლომატიური პაუზა აიღო, რადგან კრემლი არ არის მზად, იმ რეჟიმში და იმ ტემპში გააგრძელოს ურთიერთობები, რასაც მას საქართველო სთავაზობს.

მოვლენათა განვითარების დამაიმედებელ პროგნოზებს არ იძლევა რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმირ ჩხიკვიშვილი, რომელიც გაზეთ "ვრემია ნოვოსტეი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ის, თუ როდის დაიწყება ვიზების გაცემა, მთლიანად ქართულ მხარეზეა დამოკიდებული. **"ზოგადად სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია და ვითარების გაუარესების ტენდენციაც არსებობს,"** - აცხადებს ჩხიკვიშვილი.

# ევროკავშირის მხარდაჭერა

ევროკავშირის საბჭო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას გამოეხმაურა და დადებითი შეფასება მისცა. 21 თებერვალს ვენაში გაკეთებული განცხადებით (ევროკავშირის საბჭოს ამჟამად ავსტრია თავმჯდომარეობს) ევროკავშირი მიესალმება 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, ავსტრია, ევროკავშირის თავმჯდომარე-ქვეყნის სახელით მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის საკითხში და დაინტერესებულ მხარეებს მოუწოდებს, გამოიჩინონ კონსტრუქციულობა.

გარდა ამისა, დეკლარაციაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საჭიროა დამატებითი მცდელობები საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების საკითხებში; ასევე სინანულია გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ ვენაში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ჩაიშალა. **"ევროკავშირი იხსენებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ინიციატივების მიმართ მის მიერ გამოხატულ მხარდაჭერას და, 2006 წლის დეკემბერში, ლუბლიანაში გამართულ ეუთოს მინისტერიალზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ, მის მიერ გამოთქმულ რწმენას, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივებზე დაყრდნობით შემუშავებული სამშვიდობო გეგმა, რომელიც გაერთიანებული ერების მე-60 გენერალურ ასამბლეას წარედგინა, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საფუძველს წარმოადგენს,"** - ნათქვამია დეკლარაციაში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ადასტურებს თავის მზადყოფნას, ყველა შესაბამის ფორუმზე აქტიურად შეუწყოს ხელი დემილიტარიზაციისა და მთლიანად კონფლიქტის მოგვარების პროცესის დაჩქარებას, რომელიც უკვე დიდი ხანია ჭიანურდება.

*24 საათი*

# სრული სვლით - ევროპისკენ!

გიორგი ასანიშვილი

*საქართველო დაჟინებით მიიწევს ევროკავშირისკენ. ევროპასთან დაახლოების ამ გრძელ და რთულ გზაზე ერთ-ერთ სერიოზულ ნაბიჯად "ევროპული სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმის დამტკიცება და მისი რეალიზება მიიჩნევა. აღნიშნული გეგმის შესამუშავებლად, გასული წლის ნოემბერში თბილისში ჩატარდა მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი, ორიოდე კვირაში კი საქართველოს სამთავრობო დელეგაცია მორიგ შეხვედრებს ბრიუსელში გამართავს. მეორე რაუნდის დაწყების წინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი პარლამენტარებს შეხვდა და მომავალი მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.*

"ევროპული სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმის დამტკიცება იმის გამო გაჭიანურდა, რომ ზოგიერთ საკითხში მხარეები ბოლომდე ვერ თანხმდებიან. ეს, პირველ რიგში, შეეხება კონფლიქტების მოგვარების თემას. საქართველოს ხელისუფლების სურვილია, რომ ევროკავშირი უფრო აქტიურად ჩაერთოს ამ საკითხის გადაწყვეტაში, ეს უკანასკნელი კი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ამისთვის მზად არ არის. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ, შესაძლოა, ახლო მომავალში სიტუაცია შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური თბილისისთვის ძალზე დამაიმედებლად გამოიყურება ევროკავშირის მიერ 21 თებერვალს გაკეთებული განცხადება.

**"თუ ამ განცხადების დებულებები "ევროპული სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმაში ჩაიდება, ჩვენი სურვილიც სწორედ ეს არის,"** - აცხადებს ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

მხარეთა შორის პოზიციების სრული თანხვედრა არც ისეთ საკითხებში არსებობს, როგორიც არის, მაგალითად, ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

**"კარგად გვესმის, რომ ევროკავშირი სავიზო რეჟიმის მთლიანად გამარტივებისთვის დღეს მზად არ არის. ამიტომ, ქართული მხარე მხოლოდ იმას ითხოვს, რომ ეს პროცესი დაიწყოს გარკვეული ჯგუფებისთვის. შეღავათები მიეცეთ, ვთქვათ, მეცნიერებსა და სტუდენტებს, შემდგომში კი ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდეთ სრულ სტადიამდე,"** - ევროკავშირის წარმომადგენლების "გადმობირების" იმედს არ კარგავს ბაქრაძე.

"ევროპული სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმისთვის საქართველოს მთავრობამ გასული წლის ივლისში პრიორიტეტები დაამტკიცა და ის გასაცნობად ევროკომისიას გადასცა. ვალერი ჩეჩელაშვილის თქმით, ამ დღეებში ბრიუსელიდან მოვიდა პასუხი, საიდანაც ირკვევა, რომ პრიორიტეტების ნაწილი გაზიარებულია, ნაწილს კი ევროკომისია არ ეთანხმება.

**"მოლაპარაკებათა მეორე რაუნდის დროს დიდი შრომა მოგვიწევს, რომ ჩვენი ევროპელი პარტნიორები ყველა პრიორიტეტის საჭიროებაში დავარწმუნოთ. მოვიყვანთ არგუმენტებს და ვეცდებით დავასაბუთოთ, რომ მიზანშეწონილია ევროკავშირის გააქტიურება კონფლიქტების მოგვარების კუთხით და ოთხი თავისუფლებისთვის (ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება) მწვანე შუქის ასანთებად,"** - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

თუ არ ჩავთვლით ზემოთ დასახელებულ რამდენიმე საკითხს, სამოქმედო გეგმის დანარჩენი ნაწილი, პრაქტიკულად, უკვე შეთანხმებულია. დოკუმენტის ტექსტში, კერძოდ, საკამათო არ არის ისეთი თემები, როგორებიცაა, მაგალითად, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, საერთაშორისო კონვენციებთან მიერთება, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობა და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიციისა და უმრავლესობის შეხედულებები ევროინტეგრაციის საკითხებზე თითქმის მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს ეს ფაქტი ვალერი ჩეჩელაშვილს კიდევ ერთხელ დაუდასტურა ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა თემურ ნერგაძემ. თუმცა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა ხელისუფლების მხარდაჭერას კრიტიკაც მიაყოლა.

**"როდესაც კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე ვსაუბრობთ, ამ დროს ხელისუფლება ალოგიკურ კანონებს იღებს. მაგალითად, ევროკომისიის წარმომადგენლებს ჩვენ მიერ ახლახან მიღებული, თვითმმართველობის კანონი სასაცილოდ არ ჰყოფნით,"** - ამტკიცებს თემურ ნერგაძე...

როგორც ჩანს, საბოლოო არც 8 მარტს ბრიუსელში გასამართი მოლაპარაკებების მეორე რაუნდი იქნება. დავით ბაქრაძე ვარაუდობს, რომ მესამე რაუნდის გამართვაც საჭირო გახდება და სამოქმედო გეგმის დამტკიცება მხოლოდ გაზაფხულის ბოლოსთვის მოხერხდება.

**"ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია ხარისხი და არა სისწრაფე. გვირჩევნია, მოლაპარაკებები ორი თვით მეტხანს გაგრძელდეს და სრულყოფილი გეგმა დავამტკიცოთ, ვიდრე ვიჩქაროთ და არასრულფასოვანი გეგმა მივიღოთ,"** - მიიჩნევს ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

დიმიტრი ავალიანის სვეტი

# ნიანგის ცრემლები

პირველი გვერდიდან

პრიმიტიული, ნაჯახივით მარტივი რუსული პროპაგანდა საქართველოს ხელისუფლებას აგრესორებად, ლამის კაცობრიობის წინაშე დამნაშავეებად წარმოაჩენს. იგივე სტილში იყო გადაწყვეტილი თანამედროვე რუსი გებელსის, პუტინის ადმინისტრაციის მრჩევლისა და "ეფექტური პოლიტიკის ფონდის" ხელმძღვანელის გლებ პავლოვსკის უგემოვნო შოუც, სადაც სკანდალურმა მინიშნებამ გაიჟღერა ერთი ტყვიის და ომის საბაზრო ფასის შედარების თაობაზე. თუმცა, თუ საქართველოს ხელისუფლება ტყვიის ღირსია, პუტინის დავალებით, რუსეთის საზოგადოებას ნაბრძანები აქვს, "ჩვეულებრივი ქართველები" შეიცოდოს.

პუტინს ქართველები "მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის" გამო "შეეცოდა". და ისევე, როგორც ამასწინათ თავის "დიდ" პრესკონფერენციაზე, მიანიშნა, რომ თბილისის "ანტირუსული" პოლიტიკა რიგით ქართველებს ვერაფერში გამოადგება. საინტერესოა, რომ იმავე პრესკონფერენციაზე პუტინმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესაძლებლობაზეც ისაუბრა. ანუ არჩევანია მითიურ ეკონომიკურ კეთილდღეობას, რომლის მოტანაც თითქოს რესეთს შეუძლია, და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას შორის.

თუმცა, საინტერესო ისაა, რომ ეს ყველაფერი საქართველოში დიდი ხანია ძალიან კარგად ესმით. თუ საქართველო გამოხატულად პრორუსულ პოლიტიკას აირჩევდა, ნატო-ს წევრობაზე ფიქრს თავს დაანებებდა, აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტატუს-კვოს უვადოდ შენარჩუნებას დათანხმდებოდა, ცხოვრება მართლაც უფრო გაადვილდებოდა. ყოველ შემთხვევაში არც სავიზო რეჟიმი იარსებებდა, და გაზიც გაცილებით იაფად გვექნებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ ასეთ ფასად ცხოვრების გაადვილება არ გვჭირდება. საზოგადოებამ თავისი არჩევანი უკვე გააკეთა. არჩევანი, რომლის გაგებაც რუს პოლიტიკოსებს და იდეოლოგებს უჭირთ.

პუტინს აქვს უფლება, კამერების წინ ქართველების გასაჭირზე იტიროს. მაგრამ პუტინის საქმე სულაც არაა, ღარიბია საქართველო თუ მდიდარი, რადგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნას ადგილი ექნება როგორც ღარიბი, ისევე მდიდარი საქართველოს მხრიდან, ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში.

ბოლო დღეებში რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში ინიციატივის საკუთარ ხელში ჩაგდებას ცდილობს. თუ აქამდე რუსულ მხარეს საქართველოს ქმედებებზე - ქართული სამშვიდობო გეგმის წარდგენაზე, პარლამენტის დადგენილებაზე სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით, ცხინვალში ქართველი სამშვიდობოების როტაციაზე და ა. შ. - უწევდა მუდმივად რეაგირება, ახლა მოსკოვი ცდილობს, თბილისს თამაშის საკუთარი წესები მოახვიოს თავს.

ქართულ სამშვიდობო გეგმაზე თვალის დემონსტრაციული დახუჭვა, "შერეული საკონტროლო კომისიის" რუსული და, თითქოსდა, მისგან დამოუკიდებელი ოსური მხარის შეკრება მოსკოვში, მათი უარი ვენაში შსკ-ს სხდომის ჩატარებაზე, პავლოვსკის ტაკიმასხარაობა ეკრანზე, უარის თქმა საქართველოს პრემიერის მიღებაზე, ოფიციალურად გაფორმებული შანტაჟი ვიზების გაცემის შეჩერების სახით, და ბოლოს, საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა რუსი სამხედროების მიერ - ეს არის მოსკოვის გააფთრებული "კონტრშეტევა", რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც საბოლოო "ხიდების დაწვა" მხარეებს შორის. რუსეთის მხარე, ფაქტობრივად, არანაირად აღარ ცდილობს, საქართველოსთან ურთიერთობას, თუნდაც თვალის ასახვევად, რაიმე ცივილიზებული სახე მისცეს. თუმცა, პუტინი მაინც აცხადებს, რომ "საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთთან ურთიერთობის მსურველები არიან", მათ შორის, პრეზიდენტი სააკაშვილი. "იმედია, რომ ეს დადებითი ტენდენცია იმძლავრებს," - აცხადებს იგი. ანუ, "დადებითი ტენდენცია" პუტინს ისევ საქართველომ უნდა დაანახოს...

რუსეთმა, როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ახალ "სტალინგრადად" ჩათვალა და უკან დახევა არაფრისდიდებით არ სურს. ამას მთელი ძალით გაჰყვირიან რუსული პროპაგანდა და სხვადასხვა რანგის რუსი პოლიტიკოსები, და თავიანთი ქმედებებით ამას ადასტურებენ კიდეც.

ქართული მხარე რუსეთის გააფთრებულ წინააღმდეგობას კარგად იყენებს მეტოქის საერთაშორისო დისკრედიტაციისთვის. თუმცა, რამდენად გამოადგება ეს თბილისს, იმაზეა დამოკიდებული, რა პოზიციას დაიკავებენ აშშ, ევროსტრუქტურები, საქართველოს სხვა მოკავშირეები რუსეთთან მიმართებაში, და რა დონეზე შეუძლიათ მათ კონფრონტაციაზე წასვლა პუტინის ხელისუფლებასთან.

კავკასიის ბიზნესის სკოლა
Caucasus School of Business
ბაკალავრიატი - **BBA**: ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ბიზნესი, ტურიზმის და სასტუმრო ბიზნესის მართვა
კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY
CSL
კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW
ბაკალავრიატი – **LL.B**: სამართალმცოდნეობა
ატარებენ "ღია კარის დღეს" მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში (მის.: რუსთაველის გამზ.6) 2006 წლის 25 თებერვალს, 12 საათზე.
ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ტელ.: 94 16 91, 31 32 25
ელ-ფოსტა: info@csb.ge; info@csl.ge; ვებ-გვერდი: www.cu.edu.ge

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი
„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".
თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).
ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.
ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.
ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე 8-10
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

დღეს: "ტავ ჯორჯია" პირველი კომპანიაა ქვეყანაში, რომელმაც ძველი აეროპორტის თითქმის ყველა თანამშრომელს შეუნარჩუნა სამუშაო ადგილი და მუშაობის გაცილებით ეფექტური, საერთაშორისო დონესთან ადაპტირებული პირობები შესთავაზა.
TAV Georgia

## მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის 2006 წლის 7 თებერვლის 26-ე ნომერში "B-10" გვერდზე მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის მიერ გამოქვეყნებული განცხადების სათაურში კომისიის მიერ დაშვებულია შეცდომა. კერძოდ: "მცხეთის რაიონის დიღმის ყოფილი სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიიდან" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს: "მცხეთის რაიონის დიღმ სოფლის საკრებულოს ტერიტორიიდან", ხოლო მიწის ფართობების ჩამონათვალის მე-16 პუნქტში მითითებული 0.1750 ჰა (მიწის სარეგისტრაციო ნომერი № 721434279) ფართობის საწყისი გასაყიდი ფასია 1 მ 2 - 35 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. მიწის ნაკვეთების სააუქციონოდ მომზადების ხარჯები გათვალისწინებულია გამოცხადებული მიწის ნაკვეთების საწყის ფასში.

კომისია ბოდიშს უხდის მკითხველს დაშვებული უზუსტობებისათვის.

შენიშვნა: რაც შეეხება აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველთა განცხადებების მიღებას, დაიწყო გაზეთში გამოქვეყნების დღიდან, ანუ 7 თებერვლიდან, რომელიც გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში და შეწყდება 2006 წლის 9 მარტს, დღის 12 საათზე. აუქციონში ჩატარდება 2006 წლის 10 მარტს დღის 11 საათზე მცხეთის რაიონის გამგეობის შენობაში.

მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

კაჭრეთის №2 სკოლა აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების მოწოდების შესახებ, გთხოვთ, დაინტერესებულმა პირებმა 2006 წლის 14 მარტამდე მოაკითხოთ № 2 სკოლის დირექციას, შემდეგ მისამართზე: გურჯაანის რაიონი, სოფელი კაჭრეთი, №2 სკოლა.

ტელ: 8 253 4 43 35.

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებას.

მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე
- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი, ნიშნების ფურცელი) დედანი და ასლი
- ავტობიოგრაფია
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4

საბუთები მიიღება 2006 წლის 24 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 11⁰⁰-დან 16⁰⁰ საათამდე, შემდეგ მისამართზე - ბოჭორმის ქ. N12 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკვალიფიკაციო გამოცდის სამდივნო, პირველი სართული.

საგამოცდო ფურცლების გაცემა იწარმოებს 15-16 მარტს.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებზე დასწრების სურვილის მქონე საზოგადოებრივი მეთვალყურეები უნდა დაგვიკავშირდნენ 2006 წლის 10 მარტამდე. მათი აკრედიტაცია მოხდება 13 მარტს.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, შემდეგ ტელეფონებზე: 27-31-03; 27-31-04; 27-31-05; 27-31-06; 27-31-07; 27-31-08.

"Programme of Assistance for the Prevention of Drug Abuse and Drug Trafficking in the Southern Caucasus (SCAD Programme). This Programme is funded by the European Union"

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა

## სატენდერო განცხადება

სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ პროგრამას ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (**UNDP**). ამ პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს შს სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურისათვის აღჭურვილობის შეძენა ნარკოტიკებზე კონტროლის გაძლიერების მიზნით.

**UNDP** აცხადებს ტენდერს პორტატული რადიოაპარატურის შეძენაზე.

აპარატურის სპეციფიკაცია და სატენდერო პირობები განთავსებულია ინტერნეტის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები დახურული კონვერტით პროგრამის კოორდინატორ ბ-ნ პაატა ნოზაძესთან ა/წლის 6 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე; თბილისი, 0179, ერისთავის 9, გაეროს სახლი. ტელ: 25-11-26/28/29/31 (ოფისი), 8-99-19-10-00 (მობილური). ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მწარმოებლების ავტორიზებულ წარმომადგენლებს. მათ უნდა წარმოადგინონ მწარმოებლის მიერ მათი ავტორიზაციის (დისტრიბუტორი ან დილერი) დამადასტურებელი სერტიფიკატები

# შეკითხვები ლევან კალაძის საქმის ირგვლივ

პირველი გვერდიდან

ცნობილია გამტაცებელთა ვინაობაც - მათი უმეტესობა საზღვარგარეთ ყალბი პასპორტებით ცხოვრობდა. ლევან ცინცაძე - სანკტ-პეტერბურგში დააკავეს, თემურ გაგნიძე - საფრანგეთში, დავით ასათიანი - შვეიცარიაში, მერაბ ამისულაშვილი კი საქართველო-სომხეთის საზღვარზე, სადახლოსთან. სწორედ ამ უკანასკნელმა მისცა აღიარებითი ჩვენება სამართალდამცველებს, რომლის ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტიც ტელევიზიით გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე დღეა სხვადასხვა მასმედიის საშუალებებით ამ საზარელი დანაშაულის გახსნის ახალ-ახალი დეტალები ქვეყნდება, ჯერჯერობით მაინც ბევრი რამ არის ბუნდოვანი; პირველ რიგში კი - ის, თუ როგორ დაადგა გამოძიება დანაშაულის კვალს და, რაც მთავარია, როგორ მიაკვლია გატაცებულის ცხედარს, რომელიც ერთხელ უკვე იყო ნაპოვნი და შემდეგ, როგორც უცნობი გვამი, ისე დაკრძალეს.



გამტაცებლების მიერ გადაღებული ლევან კალაძე.

### რა არგუმენტებს ეყრდნობა გამოძიება?

როგორც გაირკვა, კალაძის ცხედარი თავდაპირველად 2001 წლის 4 ივლისს ვაზისუბანში, ხევში აღმოაჩინეს, თუმცა ცხედრის იდენტიფიკაცია მაშინ არ მომხდარა. იმ დროს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ 2001 წლის 4 ივლისს, დაახლოებით 19.00 საათზე, თბილისში, ვაზისუბნის დასახლების მე-4 მიკრორაიონის მესამე კვარტლის მეშვიდე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხევში აღმოაჩინეს უცნობი მამაკაცის ცხედარი.

დასკვნის თანახმად, უცნობი მამაკაცის ასაკია დაახლოებით 25-33 წელი, ხოლო მისი სიმაღლე უნდა ყოფილიყო 175-180 სანტიმეტრი. უცნობ მამაკაცს ეცვა შავი ფერის ჯინსის შარვალი, მოშავო ფერის წინდები წარწერით "ლევისი", მოშავო ფერის პერანგი.

2001 წლის 4 ივლისს ჯანდაცვის სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრს მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურამ უცნობი მამაკაცის ცხედარზე ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევისა და ლაბორატორიული მონაცემების შესწავლით, ექსპერტიზა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: მამაკაცის ცხედრის შინაგანი ორგანოების ლპობის გამო ექსპერტიზას სიკვდილის მიზეზის დადგენა არ შეუძლია. ამავე მიზეზის გამო შეუძლებელი გახდა იმ პერიოდის დადგენა, თუ როდის გარდაიცვალა ახალგაზრდა მამაკაცი. უცნობი მამაკაცის ცხედარს სხეულის სხვადასხვა მიდამოებში აღენიშნებოდა მრავლობითი უსწორმასწორო დაღრღნილი კიდეების მქონე ჭრილობები, რაც, ექსპერტების აზრით, მიყენებული უნდა ყოფილიყო მკვრივი და ბლაგვი საგნის გამოყენებით. ექსპერტიზამ ვერ შეძლო ვერც იმის დადგენა, ეს დაზიანებები სიცოცხლეში იყო მიყენებული თუ გარდაცვალების შემდგომ.

დღეს უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ სამართალდამცველებს ლევან კალაძის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია იმთავითვე ჰქონდათ, რაზეც არაოფიციალურად საუბრობდნენ კიდეც და პირად საუბარში იმასაც ამბობდნენ, რომ კალაძე, ყველასთვის მოულოდნელად, ავადმყოფობით, სავარაუდოდ ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. კალაძე, რომ მართლაც ავად იყო, ამას ადასტურებენ მისი ოჯახის წევრები და დაკითხული ამისულაშვილიც. ამასთან, გამტაცებლების მიერ კალაძეებისთვის გაგზავნილ ვიდეოფირში, რომელიც გატაცებიდან რამდენიმე დღეში, ივნისის შუა რიცხვებშია გადაღებული, ლევან კალაძე ამბობს, რომ მისი ჯანმრთელობა უკიდურესად მძიმეა.

ქართველი სამართალდამცველები დღეს ირწმუნებიან, რომ ლევან კალაძე მოკლეს. არადა, იმასთან ერთად, რომ ექსპერტიზა კალაძის სიკვდილის მიზეზს ვერ ადგენს, ლევან კალაძის მკვლელობის დეტალებზე არაფერი უთქვამს მერაბ ამისულაშვილსაც. ყოველ შემთხვევაში, მისი აღიარებითი ჩვენების იმ ფრაგმენტში, რომელიც სამართალდამცველებმა საზოგადოებას წარუდგინეს, ამაზე არაფერი იყო ნათქვამი. გამოძიებას რომ ლევან კალაძის მკვლელობის უტყუარი მტკიცებულებები არ მოეპოვება, ამის ეჭვს მკვლელობის ვერსიების სიმრავლეც ბადებს: თავდაპირველად გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, გამტაცებლებმა ლევან კალაძეს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. მომდევნო დღეს ითქვა, რომ დამნაშავეებმა გატაცებულს კისერი გადაუმტვრიეს. სამართალდამცველთა მიერ გავრცელებული მესამე ვერსიის თანახმად, ლევან კალაძე ვაზისუბანში ჭაობში დაახრჩვეს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული საქმის გახსნის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ კალაძე განზრახ მოკლეს. რას ეყრდნობა მერაბიშვილის ასეთი კატეგორიულობა, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალდამცველი ორგანოების პირველი პირები იმ ვერსიებზეც საუბრობენ, თუ რატომ უნდა მოეკლათ ლევან კალაძე. ერთი ვერსიით, გამტაცებლებს ფულის მიღების იმედი გადაეწურათ და კალაძე ამიტომ გამოასალმეს სიცოცხლეს. მეორე ვერსიით კი, კალაძემ ერთ-ერთი გამტაცებელი იცნო, რამაც კრიმინალები შეაშინა.

### ვინ არიან ლევან კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილები?

ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა აღნიშნა, რომ ლევან კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილი ლევან ცინცაძე, თემურ გაგნიძე, დავით ასათიანი და მერაბ ამისულაშვილი ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან. თუმცა, ჯერჯერობით არც ერთი დანაშაული არ დასახელებულა, რომელშიც ეს პირები ფიგურირებენ, არ დასახელებულან არც ისეთი კრიმინალები, რომლებიც მათ დაჯგუფებას ცნობილს გახდიდნენ.

სამაგიეროდ, ლევან კალაძის საქმის გახსნა საეჭვოდ დაემთხვა ცოტა ხნის წინ ნოდარ გვიჩიანის და მურმან ტვილდიანის, იგივე "ხალვას" დაპატიმრებას. როგორც ცნობილია, ორივე მათგანის სახელებმა წარსულში რამდენჯერმე გაიჟღერა ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით. ამისთვის ნოდარ გვიჩიანი თავის დროზე დაკავებულიც კი იყო, რომ არაფერი ვთქვათ ტვილდიანზე, რომლის დაჯგუფებასაც სხვადასხვა, მათ შორის, კალაძის გატაცებაც ბრალდებოდა (თუმცა, საბოლოოდ, მათ ეს არ დაუმტკიცდათ). ტვილდიანი რამდენჯერმე, ადამიანის გატაცების ბრალდებით იქნა დაკავებულ-გათავისუფლებული. ამჟამად, მისი სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, რომელზეც ლევან კალაძის ხსენება არ ყოფილა. დაკავებული იყო სვანური დაჯგუფების კიდევ ერთი წარმომადგენელი თენგიზ გურჩიანიც, რომელიც ასევე არაოფიციალურად კალაძის გატაცების მონაწილედ სახელდებოდა, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო ისიც გაუშვეს. ამ გატაცებასთან დაკავშირებით არაერთხელ გაიჟღერა აფრასიძეების გვარმაც, თუმცა, კალაძის გატაცებასთან კავშირი ვერც მათ დაუმტკიცეს.

კალაძის კვალს დღევანდელი სამართალდამცველებიც რომ სვანეთში ეძებდნენ, აშკარად ჩანს სოფელ ეცერში სამარხის გათხრის დროს გაკეთებული განცხადებებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოსნების ინფორმაციით, სამარხში აღმოჩენილი სამი ჩონჩხიდან ერთ-ერთი სწორედ ლევან კალაძეს ეკუთვნოდა, რის გამოც ძვლები ექსპერტიზისთვის ასევე FBI-ში გაიგზავნა. თუმცა, პასუხი აღარ გახმაურებულა. როგორც სვანები ირწმუნებიან, სამართალდამცველთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი კალაძის საძებრად შარშან დეკემბერშიც გამოჩნდა, თუმცა შედეგი მოსახლეობისთვის უცნობია. სამაგიეროდ, სამართალდამცველებმა უკვე დაამტკიცეს, რომ კალაძე თბილისიდან არ გაუყვანიათ.

### ვინ დგას ლევან კალაძის გატაცების უკან?

გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა პირობა დადო, რომ ყველას მოსთხოვს პასუხს, ვისი დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით ლევან კალაძის გატაცება-მკვლელობის საქმე დღემდე არ გაიხსნა.

2001 წლის 4 ივლისს აღმოჩენილი ცხედრის შესახებ ინფორმაცია თბილისის ყველა რაიონის პოლიციას დაეგზავნა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სამართლადამცველები თითქოს გამალებით ეძებდნენ ლევან კალაძეს, ინფორმაციაში მითითებული გარეგნული ნიშნების მსგავსებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, ან... ან, პოლიციამ ეს ინფორმაცია განგებ დამალა.

კარგა ხნის მანძილზე ჭორად მოარული ვერსიები ორიოდ წლის წინ საჯაროდ გამოაქვეყნა პოლიციის პოლკოვნიკმა ბათო სალინაძემ, რომელსაც გია ბარამიძემ, შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, ლევან კალაძის გატაცების საქმეში გარკვევა დაავალა. ბათო სალინაძემ კალაძის საქმის გახსნაში ხელისშემშლელებად, თავის დროზე, სწორედ თბილისის პოლიციის ყოფილი შეფის სოსო ალავიძისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის კახა თარგამაძის გარემოცვა დაასახელა, კონკრეტულად კი - კახა ბაკურაძე, რომელიც ლევან კალაძის გატაცების მომენტშიც და მაშინაც, როცა მისი გვამი პირველად აღმოაჩინეს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. დასახელდა ლევან გვაზავაც, რომლის გვარი კალაძესთან დაკავშირებით ჩატარებულ სხვადასხვა საგამოძიებიო მოქმედებებში ბოლო ხანებშიც ხშირად ფიგურირებდა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ უშიშროების სამინისტროში მუშაობისას გვაზავამ მონაწილეობა მიიღო აფრასიძეების ოჯახზე განხორციელებულ სპეცოპერაციაში. ამის შემდეგ კი მისივე ინიციატივით სოფელ ეცერში გაითხარა სამარხი, სადაც თითქოსდა კალაძის ცხედარი უნდა ყოფილიყო. ამბობენ, სწორედ ამ წარუმატებელი სპეცოპერაციის შემდეგ ჩამოაშორეს იგი კალაძის გატაცების საქმის გამოძიებას.

პოლიციის პოლკოვნიკი ბათო სალინაძე იმ მიზეზზეც საუბრობდა, რის გამოც ლევან კალაძე გაიტაცეს. მისი აზრით, ეს ის მთავარი შეკითხვაა, რომელზე პასუხის გაცემაც ხუთწლიან საიდუმლოს ახდის ფარდას და იმ პირებსაც გამოააშკარავებს, რომლებიც ამ საქმის მიჩქმალვით იყვნენ დაინტერესებულნი. გავრცელებული ხმებით, ლევან კალაძის გატაცება უშუალოდ კახი კალაძის "მილანში" ტრანსფერს მოჰყვა. შესაბამისად, ყველა ვერსია მიდიოდა იქამდე, რომ გამტაცებლებს სწორედ კახი კალაძის ტრანსფერში გადახდილი მილიონები აინტერესებდათ. მეტიც, დაინტერესებულ პირებს შორის უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი კახა თარგამაძე და მაშინ ესპანეთში მოღვაწე ქართველი "კანონიერი ქურდი" ტარიელ ონიანი სახელდებოდნენ. სხვათა შორის, ონიანმა აღიარა, რომ გატაცებულის ოჯახმა მას დასახმარებლად მიმართა. ამის გამო, "კანონიერი ქურდი" ესპანეთიდან თბილისშიც ჩამოსულა.

სხვათა შორის, "სვანური დაჯგუფების" ერთ-ერთი ლიდერი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი მურმან ტვილდიანი ტარიელ ონიანის ახლო ნათესავია და მისი მფარველობით ბევრჯერ გადაურჩა დაპატიმრებას.

ცხადია, ყოველივე ზემოთ თქმული მხოლოდ და მხოლოდ ვერსიაა, რომლის დადასტურება ან უარყოფა გამოძიების პრეროგატივა გახლავთ, ისევე როგორც გამოძიების ამოცანაა პასუხი გასცეს ყველა იმ შეკითხვას, რომელიც ლევან კალაძის გატაცებას, სიკვდილსა და, მეტიც, ამ საქმის გახსნასთან დაკავშირებით წარმოიშვა. თუმცა, უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ, თუ ამჟამად მიმდინარე გამოძიება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი პიროვნების დადანაშაულებით შემოიფარგლა, ეს ნიშნავს, რომ ლევან კალაძის გატაცებისა და მკვლელობის საქმის რეალურად გახსნისა და ობიექტური გამოძიების შესაძლებლობა მომავალ შინაგან საქმეთა მინისტრებსა და გენერალურ პროკურორებსაც ექნებათ.

### მტკიცებულებები გამოქვეყნებულია, ჯერი დაცვაზეა

შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესზე ის ვიდეოფირი აჩვენეს, რომელიც ეჭვმიტანილთა დაკავების დღეს კობა ბექაურმა ფარულად გადაიღო.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ფირის ხილვა დარბაზში მყოფი დამსწრეებისთვის შეუძლებელი იყო, რადგან მონიტორი მხოლოდ მოსამართლისკენ იყო მიბრუნებული. დამსწრეებს, მხოლოდ ვიდეოფირზე აღბეჭდილი ხმის გაგება შეეძლოთ, თუმცა საუბრის ტექსტის ნათლად გარჩევაც შეუძლებელი იყო.

საქმეში არსებული ვიდეოფირის გამოქვეყნებით, ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა დასრულდა. ამჯერად, მორიგ სასამართლო პროცესზე, 27 თებერვალს დაცვის მხარის არგუმენტების წარმოდგენა დაიწყება.

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესი 27 თებერვალს 11 საათზე განახლდება.

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლები შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს. მათ პარლამენტარ კობა ბექაურისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ედავებიან. წარდგენილი ბრალდება, დამტკიცების შემთხვევაში, 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*ინტერპრესნიუსი*

### ჰეროინი პატიმარი ძმისთვის

რუსეთის მოქალაქე, 26 წლის ალვინა კარაპეტიანი ნარკოდანაშაულზე დააკავეს.

შს სამინისტროს ცნობით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს რუსეთის მოქალაქე, (რუსეთის საელჩოში აღრიცხვაზე მყოფი) დროებით თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მცხოვრები, 26 წლის ალვინა კარაპეტიანი. იგი პატიმრობაში მყოფი ძმისთვის არმენ კარაპეტიანისათვის ორ ე.წ. ჩეკად დაფასოებული დიდი ოდენობით 0, 503 გრამი "ჰეროინის" შეტანას ცდილობდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

*ინტერპრესნიუსი*

### კონტრაბანდა ცხინვალიდან

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ კონტრაბანდული სიგარეტის რეალიზაციის ფაქტზე ოთხი პირი დააკავა.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაკავებულნი არიან ალექსი ტერაშვილი, დავით შერაზადაშვილი, ალექსანდრე რაზმაძე და დავით კოლხიდაშვილი.

აღნიშნულ პირებს კონტრაბანდული სიგარეტი ოსი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გადმოჰქონდათ. მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე მე-200 მუხლით აღიძრა, რაც მარკირებას დაქვემდებარებული სიგარეტის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაციას გულისხმობს.

*ინტერპრესნიუსი*

### მსჯელობა ნარკოდანაშაულთან ერთობლივ ბრძოლაზე

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი სუამის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების მოადგილეებს მასპინძლობს.

შეხვედრა, რომელიც აშშ-ს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობდა, თბილისში დღეს სასტუმრო "სიმპათიაში" შედგა. შეხვედრას დაესწრნენ უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვეთის შს მინისტრის მოადგილეები. ამავე სხდომაში მონაწილეობდა რუმინეთის შს სამინისტროს წარმომადგენელიც.

როგორც საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, სუამი-ს წევრი ქვეყნების შს სამინისტროს ხელმძღვანელი პირები ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულის აღმოფხვრის საკითხებზე მსჯელობდნენ. მისივე თქმით, ამავე შეხვედრაზე ერთობლივი ღონისძიების ჩატარებაზეც იმსჯელეს.

*ინტერპრესნიუსი*

# საბოლოო სიტყვა მეორედ

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი სასამართლო პროცესზე დღეს საბოლოო სიტყვას წარმოთქვამს. დღესვე, დაცვის მხარე მოსამართლეთა კოლეგიას საკუთარ პოზიციას წარუდგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის პროცესი 12 საათზე დაიწყება. დაცვისა და განსასჯელის სიტყვის შემდეგ, კოლეგია სათათბიროდ გავა. ბრალდების მხარე საკუთარ მოთხოვნას არ ცვლის და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის, რომლითაც მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ძალაში დატოვებას მოითხოვს.

როგორც მოლაშვილი აცხადებს, საქმის მასალებში მოცემული საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნების გათვალისწინებით, მისთვის ნათელი გახდა, რომ ექსპერტებმა "იძულების ფონზე განზრახ დაუშვეს შეცდომები", რასაც განაჩენის გამოტანამდე თბილისის საქალაქო სასამართლოსგან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

მისივე თქმით, საქმეში არსებული უამრავი ეპიზოდი ბადებს ეჭვს, რომ საქმე შეკერილია უამრავი უზუსტობით, ხარვეზით, შეცდომებით, წინააღმდეგობრივი არგუმენტებით, არაკომპეტენტურ საექსპერტო დასკვნებზე დაყრდნობით.

**"აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ასრულებდა ბრალდების მხარის მითითებას, ჩქარობდა განაჩენის გამოტანას, რადგან შიშობდა სტრასბურგის სასამართლოში ჩემი ადვოკატების მიერ პარალელურად წარმოებული სარჩელის მოგების შემთხვევაში, განსასჯელის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება არ მომხდარიყო",** - განაცხადა მოლაშვილმა.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი 2004 წლის 23 აპრილს დააკავეს. მას ბრალად სახელმწიფოსა და იურიდიული პირებისთვის 3 მილიონი ლარის ოდენობის ზარალის მიყენება ედება.

დაკავებულის ადვოკატების ინფორმაციით, პირველ ინსტანციაში საქმის განხილვა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით წარიმართა, რის გამოც გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს.

საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პარალელურად, მოლაშვილის საქმეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც განიხილავს, რომელიც მისი პატიმრობის კანონიერების საკითხს არკვევს.

*ინტერპრესნიუსი*

*დღეს:* "ტავ ჯორჯიაში" 736 ქართველი და 47 თურქი პროფესიონალი მუშაობს, მათ შორის 543 კაცი აეროპორტის ძველი თანამშრომელია.

TAV Georgia

# GRDC - ახალი სიტყვა ქართულ საინვესტიციო ბაზარზე

პირველი გვერდიდან

- GRDC არის საქართველოს რეკონსტრუქციის და განვითარების კომპანია, რომელიც საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე უცხოური კაპიტალის, ინვესტიციების მოზიდვაზეა ორიენტირებული. კომპანია ჰოლანდიაში დარეგისტრირდა, თუმცა საქართველოში საქმიანობს. ძირითადად, თბილისში.

**- ვინ არიან კომპანიის დამფუძნებლები?**

- ფიზიკური პირები, როგორც უცხოელები, ასევე ქართველები. ჩვენი პარტნიორები არიან ისეთი ფინანსური ინსტიტუტები, როგორებიცაა "აი-ეფ-ეს"-ი (მსოფლიო ბანკის ინვესტორი), ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი. ჩვენი ლოკალური ფინანსური პარტნიორია "თიბისი ბანკი". GRDC-ის პრეზიდენტი არის ბატონი მამუკა ხაზარაძე, მე გახლავართ ამ კომპანიის გენერალური დირექტორი.

**- რა მიზნები აქვს კომპანიას?**

- GRDC-ის მიზანია, განახორციელოს საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების უძრავი ქონების განვითარება თბილისსა და საქართველოში. ჩვენი კომპანიის მიმდინარე საბაზრო ღირებულება დაახლოებით 105 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ვაპირებთ დაახლოებით 200 მილიონი დოლარის მოზიდვას და დაბანდებას საქართველოში.

**- რა პროექტებს ახორციელებთ და რას აპირებთ უახლოეს მომავალში?**

- ძალიან საინტერესო პროექტები გვაქვს ბორჯომსა და ბაკურიანში. შესაძლოა, ინვესტირება ზღვისპირა რეგიონებშიც განხორციელდეს. თუმცა, ძირითად აქცენტს დედაქალაქზე ვაკეთებთ. გვაქვს რამდენიმე დიდი პროექტი, რომელსაც უკვე ვახორციელებთ.

**- უფრო კონკრეტულად...**

- მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დავიწყეთ ბიზნეს-ცენტრის განვითარება. იდეა მას შემდეგ დაგვებადა, რაც ჩვენმა ძირითადმა პარტნიორმა "თიბისი ბანკმა" სათაო ოფისი ამ ტერიტორიაზე გადმოიტანა. დავიწყეთ მიწების და ისტორიული შენობების შესყიდვა ამ ტერიტორიაზე და უბანი დაწვრილებით შევისწავლეთ. ევროპის სხვადასხვა ქალაქებში არსებობს საქმიანი ბიზნეს-ცენტრები და საჭიროა, მსგავსი საქმიანი ცენტრი თბილისშიც იყოს. ეს იდეა მოიწონა ქალაქის ხელმძღვანელობამაც. ამჟამად მარტო ვაკის რაიონში, რომელიც პრესტიჟული საცხოვრებელი უბანია, საცხოვრებელ ბინებში დაახლოებით 1500-მდე ოფისია განლაგებული. თუ იმ ადამიანებს ჩვენ საქმიან ბიზნეს-ცენტრს შევუქმნით, მთელი აქტივობა ამ ტერიტორიაზე გადმოვა და ხალხიც ნორმალურ საოფისე პირობებში იმუშავებს.

GRDC-იმ შეიძინა ყოფილი ნარკოლოგიური ცენტრის ტერიტორია და ებრაელ პარტნიორებთან ერთად, შერეული ტიპის კომპლექსის მშენებლობის დაწყებას ვაპირებთ. სავარაუდოდ, ზაფხულში. ამ პროექტში დაახლოებით 40 მილიონი დოლარის ინვესტირება მოხდება.

**- თქვენი კომპანია საცხოვრებელი ბინების მშენებლობაზე თუ მუშაობს?**

- ნაწილობრივ, თუმცა საცხოვრებელ ბინებს, უფრო, კომპლექსებში ვაკეთებთ. მხოლოდ ერთი პროექტი გვაქვს ვაკის ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ საცხოვრებელ ბინებს მოიცავს.

**- თქვენი ერთ-ერთი ცნობილი პროექტია კინოქალაქის მშენებლობა თბილისში. როგორი იქნება კინოქალაქი?**

- ტერიტორია, სადაც კინოქალაქი უნდა აშენდეს, კინოსტუდია"ქართულ ფილმს" ეკუთვნოდა. ჩვენ ქალაქის ამ ნაწილს არ დავუკარგეთ მნიშვნელობა და კავშირი კინოსთან. კინოქალაქი მოიცავს კინოდარბაზებს, გრანდკაფეს, მიუზიკ-ჰოლს. ვაშენებთ მიწისქვეშა ავტოსადგომებსაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მიწისქვეშა ავტოსადგომების სიმცირე ჩვენი ქალაქის პრობლემაა.

**- სავარაუდოდ, როდის ექნება თბილისს კინოქალაქი?**

- მშენებლობა უკვე დაწყებულია. კინოდარბაზები, გრანდკაფე და მიუზიკჰოლი 2007 წლის ზაფხულში დასრულდება. სრულად კი პროექტი, ალბათ, 4-5 წლის განმავლობაში აშენდება.

**- კიდევ რა გეგმები გაქვთ?**

- გარდა ამ პროექტებისა, ჩვენ გვაქვს სხვა პროექტებიც, რომლებსაც უახლოეს მომავალში გავახმაურებთ. წინასწარ საუბრისგან თავს ვიკავებთ.

შეიძლება ვთქვათ, რომ ამ პროექტების განხორციელების შემდეგ თბილისს ექნება რეალური პრეტენზია, კავკასიის საქმიანი და ფინანსური ცენტრი გახდეს. თბილისში განთავსებული პრესტიჟული ბიზნეს-ცენტრი უცხოელ ინვესტორებს რეალურ წარმოდგენას შეუქმნის ქვეყანაში არსებული პოზიტიური ბიზნეს-ძვრების შესახებ.

# პატარკაციშვილის წინადადებით ბერეზოვსკი "თავისუფლდება"

პირველი გვერდიდან

ბორის ბერეზოვსკიმ ისიც დასძინა, რომ მისი წილის გაყიდვის შესახებ შემოთავაზება სწორედ პატარკაციშვილისგან მოდიოდა. **"ახლახან განცხადება გავაკეთე რუსეთში ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდების აუცილებლობის თაობაზე, რასაც რუსეთში მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ამის შემდეგ ბადრიმ შემომთავაზა, რომ ერთობლივ ბიზნესში ჩემს წილს შეისყიდის. ერთი კვირის წინ ერთმანეთს ისრაელში შევხვდით და მე შემოთავაზებას დავთანხმდი,"** - განუცხადა ბერეზოვსკიმ "ვედომოსტის".

როგორც იმავე "ვედომოსტის" ქართველი ბიზნესმენის გარემოცვიდან აუწყეს, ბადრი პატარკაციშვილმა თავისი ძველი პარტნიორისგან გამოყოფა შემდეგი მიზეზით გადაწყვიტა: ის ბერეზოვსკის პოლიტიკური ამბიციების გამო "საქართველოში ჯდომით დაიღალა".

**"ორი კვირის წინ ბერეზოვსკიმ მორიგი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ რუსეთში შეიარაღებულ გადატრიალებას ამზადებს, რამაც ბადრის მოთმინების ფიალა აავსო,"** - განაცხადა "ვედომოსტის" უცნობმა რესპონდენტმა.

თუმცა, ბერეზოვსკი ბიზნესიდან წასვლას არ აპირებს. **"მე ჩემი ძველი ბიზნესისგან ვთავისუფლდები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბიზნესიდან მივდივარ. წამოვიწყებ ახალ საქმეს, რომელსაც ჩემ მიერ დანიშნული მმართველი კომპანია უხელმძღვანელებს,"** - დასძინა მან.

არც ქართული და არც რუსული მხარისგან ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის ერთობლივი ბიზნესის შემადგენელი აქტივები არ დაკონკრეტებულა. თუმცა, როგორც ბადრი პატარკაციშვილის მხარემ აღნიშნა, საგამომცემლო სახლ "კომერსანტის" გარდა, საუბარია ბრაზილიის ჩემპიონ საფეხბურთო კლუბ "კორინთიანსზეც". საინტერესოა, რომ როგორც რუსული ინტერნეტ-გაზეთი "კომპრომატ რუ" წერს, ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი არაპირდაპირ წილს ფლობენ "Bary Discovered Partners"-ში, რომლის აქტივებიც მილიარდ დოლარს შეადგენს. გაცილებით საინტერესოა, რომ ეს კომპანია საკონდიტრო ფაბრიკა "ზემბის", რძის ქარხანა "იმლექს" და კვების რამდენიმე საწარმოს მოიცავს სერბეთში. გასული ხუთი წლის განმავლობაში ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის წყვილმა რუსეთში "რუსალის", OPT-ს და "სიბნეფტის" აქციების გაყიდვა მოასწრო.

ბადრი პატარკაციშვილის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შენაძენი საგამომცემლო სახლი "კომერსანტი" იქნება. **"დღეიდან მე საგამომცემლო სახლ "კომერსანტის" სრულუფლებიანი ხელმძღვანელი ვარ,** - განაცხადა ქართველმა ბიზნესმენმა რადიო "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - **"კომერსანტი" დამოუკიდებელ გამომცემლობად დარჩება. საგამომცემლო სახლის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას არ ვაპირებ."**

"კომერსანტის" გენერალური დირექტორის დემიან კუდრიანცევის აზრით, ბერეზოვსკის მიერ საგამომცემლო სახლის გაყიდვა მათ საქმიანობაზე არ იმოქმედებს. **"გამომდინარე იქიდან, რომ გაზეთს მის აქციონერ ბადრი პატარკაციშვილთან ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს, არ მგონია, რომ მისგან სიურპრიზებს უნდა ველოდოთ,"** - განაცხადა კუდრიანცევმა "ბი-ბი-სისთან" ინტერვიუში.

საგამომცემლო სახლი "კომერსანტი" გაზეთ "კომერსანტს", ჟურნალებს "კომერსანტ-ვლასტს" და "კომერსანტ-დენგის" მოიცავს. რუსეთის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროფესორის იოსიფ დიალოშინსკის შეფასებით, "კომერსანტი" ბიზნესკომუნიკაციის ინსტრუმენტი არ არის. ამაშია სწორედ, მისი აზრით, ამ გამოცემის სხვა ბიზნესგამოცემებისგან განმასხვავებელი ნიშანი. **"ჩვენმა კვლევებმა აჩვენეს, რომ კომერსანტს ბიზნესმენების უმეტესობა ენდობა. მან იპოვა თავისი ნიშა და დღეს პრაქტიკულად არ ჰყავს კონკურენტები. ასეთი ბიზნესის დანგრევა კი, ვფიქრობ, არც ბერეზოვსკისთვის და არც სხვა მფლობელისთვის მომგებიანი არ იქნება,"** - აღნიშნა პროფესორმა.

რუსული მედიის ცნობით, შემფასებელმა კომპანიამ ("2კ აუდიტი - საქმიანი კონსულტაციები") "კომერსანტი" დაახლოებით 30-50 მილიონ დოლარად შეაფასა.

**"ჩვეულებრივ, მფლობელის შეცვლა დაწესებულების მენეჯმენტის ცვლილებასაც გულისხმობს, რაც მეტ-ნაკლებად აისახება ხოლმე სარედაქციო პოლიტიკაზე. უნდა ველოდოთ თუ არა მსგავს გარდაქმნებს ამ შემთხვევაშიც?"** - კითხულობენ რუსულ მედიაში. მათი შეფასებით, ბერეზოვსკის აღნიშნული გადაწყვეტილება რუსულ პოლიტიკაზე მისი გავლენის შემსუბუქებას სულაც არ გულისხმობს. პირიქით, მიიჩნევენ, რომ რუსი ოლიგარქის პოზიციები ამით უფრო გამყარდება. იქვე იმასაც მიანიშნებენ, რომ **"რაც არ უნდა უცნაური იყოს, "კომერსანტის" აქილევსის ქუსლი ყოველთვის მისი მფლობელის სახელი იყო. სიტყვათა შეხამება "ბორის ბერეზოვსკი" ძალიან გამაღიზიანებელია რუსული ყურისთვის, ამასთან - არა მარტო კრემლის ყურისთვის. შესაძლოა, კარს მომდგარი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ასეთი ნაბიჯით ბერეზოვსკიმ პოლიტიკური პოზიციების გამყარება სცადა და თავის აქტივებზე მხოლოდ ფორმალურად თქვა უარი."**

# მოხსნის თუ არა გაერო შეზღუდვას ქართულ პროდუქტზე

ჟენევაში (21-24 თებერვალი) მიმდინარეობს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის 61-ე სესია და ეკონომიკური კომისიის ვაჭრობის კომიტეტის გაფართოებული ბიუროს სხდომა. სესიისა და გაფართოებული ბიუროს მუშაობაში მონაწილეობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი დიმიტრი ჯაფარიძე. იგი არჩეულია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ვაჭრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მუშაობის ძირითად მიმართულებებს მიმდინარე ეტაპზე შეადგენს ეკონომიკისა და ვაჭრობის გლობალიზაცია, ევროინტეგრაციის გაფართოება და გაეროს რეფორმირება. დიმიტრი ჯაფარიძე ამბობს, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ვაჭრობის გლობალიზაციის საკითხის განხილვა. ამ ეტაპზე კომიტეტი ცდილობს, ქვეყნებს შორის ვაჭრობის საერთაშორისო ნორმებთან და სტანდარტებთან დაკავშირებული პრობლემები დაარეგულიროს. მათი გადაჭრის შემდეგ საქართველოს შანსი აქვს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ექსპორტზე 55 ქვეყანაში გაიტანოს.

# "ჩემ გამო ვინმეს რომ ეშიმშილა, ძალიან გამიჭირდებოდა," - აცხადებს "სტემკორის" მმართველი დირექტორი

მაია ტაბატაძე

სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" ახალი მფლობელის, ბრიტანული კომპანიის "სტემკორის" წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვიდნენ. სპეციალურ პრესკონფერენციაზე "სტემკორის" მმართველმა დირექტორმა დევიდ ფექტორმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" ძველი სამეთვალყურეო საბჭო დათხოვილია და არჩეულია ახალი სამეთვალყურეო საბჭო. "ახალ საბჭოში მე დამნიშნეს ჩემს ორ კოლეგასთან ერთად ერთად (ალექსანდრე კაციაპისი და დევიდ პოლი). ამ ტიპის პრესკონფერენციების გამართვა საზოგადოებრივი მედიისათვის არ არის ჩვენი პროფილი, ჩვენ, ძირითადად, ურთიერთობა გვაქვს სამრეწველო სფეროსთან. თუმცა ეს პრესკონფერენცია იმისათვის მოვიწვიეთ, რომ საქართველოს მედიაში ბევრი საუბარია კონფლიქტსა და შეუთანხმებლობაზე "ფეროსთან" დაკავშირებით, - განაცხადა მან. - კონფლიქტი და უთანხმოება კარგ გარემოს არ ქმნის საწარმოს საქმიანობისათვის. სწორედ ამიტომ გახლავართ აქ, რომ მოლაპარაკებები ვაწარმოოთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან, იმისათვის, რომ ქარხნის საქმიანობა არ შეფერხდეს და ეფექტიანად წარიმართოს. ზესტაფონის ქარხანამ სარგებელი უნდა მოუტანოს როგორც სახელმწიფოს, ქართველ ხალხს, ისე, რა თქმა უნდა, ამ ქარხნის თანამშრომლებს, ყველა აქციონერს, რა დონის აქციონერიც არ უნდა იყოს. ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა ჩაგვთვლის სანდო და საიმედო პარტნიორად და, გარდა ამისა, დიდი იმედი გვაქვს, რომ დაგვეხმარებიან ჩვენი გეგმების განხორციელებაში. ჩვენი უპირველესი პრიორიტეტი გახლავთ, რომ ქარხნის მართვა და საქმიანობა შეუფერხებლად განხორციელდეს. ძალიან მნიშვნელოვანია ზესტაფონის ქარხნის განვითარება, ვეცდებით, მაქსიმალურად გავზარდოთ მისი ეფექტიანობა, განვავითაროთ წარმოება. ჩვენი კომპანია ძალიან კარგი რეპუტაციის მქონეა, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოციალურ საკითხებს. კარგად ვართ ინფორმირებული მოშიმშილეების თაობაზე, თუმცა მათ ჯერ არ შევხვედრივართ. ეს ჩვენ ძალიან გვაწუხებს, ჩემთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია ის ფაქტი, რომ ადამიანები შიმშილობენ. ყველანაირად ვეცდები, ეს პრობლემა მოვაგვარო. მინდა, რომ ეს ხალხი არ დაზარალდეს, იმედი მაქვს, რომ ჩვენ გვეყოლება ჯანმრთელი მუშა-ხელი და ერთობლივად შევძლებთ საწარმოს განვითარებას," - განაცხადა დევიდ ფექტორმა.

მან აღნიშნა, რომ "სტემკორი" ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნით წელიწადნახევრის წინ დაინტერესდა და მაშინ რამდენჯერმე შეხვდნენ მთავრობის წარმომადგენლებსაც. "რამდენიმე წლის წინათ "სტემკორი" არც იფიქრებდა იმაზე, რომ საქართველოში რაიმე სახის ინვესტიცია განეხორციელებინა, თუმცა ამჟამინდელმა მთავრობამ მოახერხა და შეცვალა წარმოდგენა თქვენს ქვეყანაზე, - განაცხადა ფექტორმა. - ჩვენზე დიდი შთაბეჭდილებები მოახდინა იმ ბიზნესშესაძლებლობებმა, რაც საქართველოში არსებობს. ნებისმიერი ინვესტორი, ვინც აქ მძიმე მეტალურგიაში ჩადებს თანხას, რასაკვირველია, დაინტერესდება ჰიდროელექტროსადგურით, მანგანუმით და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნით". "სტემკორის" მმართველმა დირექტორმა პირდაპირ არ დაადასტურა მისი კომპანიის ინტერესი "ჭიათურმანგანუმისა" და ვარციხეჰესის მიმართ. თუმცა მისი სიტყვებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს ინტერესი არსებობს და გამორიცხული არაა, როდესაც ტენდერი გამოცხადდება, მონაწილეებს შორის "სტემკორიც" ვიხილოთ.

"დისიემ"- თან დაკავშირებით დევიდ ფექტორმა მკვეთრი განცხადებებისაგან თავი შეიკავა. მან არ გააკეთა კომენტარი 2004-2005 წლებში "დისიემ დეკომეტალის" უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით ( ქარხნის თანამშრომლები ამ პერიოდში საწარმოსათვის ხელოვნურად მიყენებული მილიონობით დოლარი ზარალის გამო "დეკომეტალის" წინააღმდეგ ჩივილს აპირებენ). მან დაადასტურა, რომ "დისიემ დეკომეტალი" "სელრომექსში" ფლობს 26,8 პროცენტს, დანარჩენს "სელრომექსის" კუთვნილი 96,3 პროცენტიდან უკვე "სტემკორი" აკონტროლებს. ფექტორმა, კონფიდენციალობის გამო, აქციებში გადახდილი თანხა არ დაასახელა, თუმცა დაადასტურა ის ფაქტი, რომ უსწრაფესი წესით იქნება შეძენილი ნედლეული და მასალები იმისათვის, რომ საწარმომ გამართულად იმუშაოს.

სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" ახალი სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენელი დევიდ ფექტორი მოერიდა გიგა ბედინეიშვილის წინააღმდეგ მკვეთრი განცხადების გაკეთებასაც: " ბედინეიშვილმა "მეტალბიულეტენში" გამოაცხადა, რომ საწარმოში მონიტორინგის ჩატარების მიზნით შევიდა. მაგრამ მას არ ჰქონდა გადაწყვეტილებების მიღების უფლება. მე მას ვერაფერში დავადანაშაულებ, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ ჩემ გამო ვინმეს რომ ეშიმშილა, ძალიან გამიჭირდებოდა ცხოვრება", - აღნიშნა დევიდ ფექტორმა.

საქართველოში ჩამოსული "სტემკორის" წარმომადგენლები არ შეხვედრიან არც "დისიემ"-ს და არც გიგა ბედინეიშვილს.

" გვაინტერესებს, რა წინადადებები შესთავაზა პრემიერ-მინისტრს "დისიემ დეკომეტალმა". ვაპირებთ შევხვდეთ პრემიერ-მინისტრს და ჩვენი გეგმები გავაცნოთ. ჩვენ არავისთან ბრძოლას არ ვაპირებთ. "ფეროშენადნობს" "სტემკორი" აკონტროლებს, მაგრამ "დისიემ დეკომეტალს" "სელრომექსის" მეშვეობით აქვს აქციების საკმაოდ დიდი ნაწილი, ამიტომ ჩვენს გადაწყვეტილებებს მათაც გავაცნობთ. ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიაა, რომ ყველა ქვეყანაში მაქსიმალურად დავეყრდნოთ ადგილობრივ კადრებს, მოვამზადოთ და ხელი შევუწყოთ მათ დაწინაურებას. გარკვეული შეხედულება ქარხანაზე უკვე ჩამოგვიყალიბდა, ამიტომ ამჯერად ვაპირებთ რამდენიმე მენეჯერის ჩამოყვანას. თუმცა მათთან მოკლევადიანი ხელშეკრულებები გაფორმდება. კარგად გვაქვს გააზრებული, რა ამოცანა დგას ჩვენს წინაშე. ქარხნის მდგომარეობა იდეალური არ არის, მაგრამ ჩვენ შევძლებთ მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ამას დასჭირდება ინვესტიციები, დრო და ერთგულება და თავდადება ყველა დაინტერესებული პირის მხრიდან," - აღნიშნა დევიდ ფექტორმა.

ცნობისათვის: "სტემკორი" არის სოლიდური და კარგი რეპუტაციის მქონე ბრიტანული კომპანია, დაარსებულია 55 წლის წინათ, მისი სათავო ოფისი გახლავთ ლონდონში. კომპანია, ძირითადად, ტრეიდინგითაა დაკავებული.

**P.S.** დღის ბოლოს, "სტემკორის" წარმომადგენლების თხოვნით მოშიმშილეებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

# მომაკვდავი ლისის ტბის ახალი სიცოცხლე



*"პროექტის კონცეფციის შექმნასა და დაგეგმარებაში მონაწილეობას იღებენ ინგლისელი და ჰოლანდიელი ექსპერტები."*

სალომე ძაძამია

საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ GRDC ლისის ტბის განვითარების პროექტი მთავრობის სხდომაზე წარადგინა. ქალაქის მერის ინიციატივით ეს პროექტი, კომპანია GRDC-ს პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ მთავრობის წევრებს გააცნო.

სააქციო საზოგადოება ლისის ტბის გენერალური დირექტორი რუსუდან ფანცულაია აცხადებს, რომ GRDC ლისის ტბის ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მქონე კურორტის გაშენებას გეგმავს.

**- ქალბატონო რუსუდან, საიდან წარმოიშვა ლისის ტბის განვითარების იდეა?**

- ლისის ტბის განვითარების პროექტის იდეა განაპირობა ამ რეგიონის მდიდარმა საკურორტო რესურსებმა, მისმა მდებარეობამ და, პრაქტიკულად, არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში ანალოგიური კომპლექსის არარსებობამ. ლისის ტბის ამჟამინდელი მდგომარეობა მძიმეა, მისი მიმდებარე ტერიტორიები - აუთვისებელი. აქედან გამომდინარე, კომპანია GRDC-ს ამ ადგილის შენარჩუნების და განვითარების იდეა გაუჩნდა.

**- რა ტიპის კომპლექსის გაშენებას აპირებთ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე?**

- GRDC საერთაშორისო დონის კურორტის განვითარებას აპირებს, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმისა და რეკრეაციის უნიკალური კერა იქნება. კურორტზე განთავსდება ტყე-პარკი, პლაჟი, საბავშვო სპორტული მოედნები, თერმა, SPA-კომპლექსი (წყლით გამაჯანსაღებელი კომპლექსი), საცხენოსნო კომპლექსი, სასტუმრო, კოტეჯები, რესტორნები, გოლფის ზონა, საგანმანათლებლო ატრაქციონი - "მინი საქართველო", ამერიკული აკადემია და საბაგირო გზა.

**- რამდენად არის ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია საკურორტო ზონა?**

- GRDC-ს დაკვეთით "საქართველოს კურორტების აღდგენისა და განვითარების კავშირმა" დარგის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით შეისწავლეს ლისის ტბის მიმდებარე რეგიონში საკურორტო ფაქტორები, რის შედეგადაც ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია ბალნეო-კლიმატო-პელოიდურ საკურორტო ადგილად შეფასდა.

**- ვინ დააპროექტებს ახალ კომპლექსს?**

- პროექტის კონცეფციის შექმნასა და დაგეგმარებაში მონაწილეობას იღებენ ინგლისელი და ჰოლანდიელი ექსპერტები. აგრეთვე, ვერსალის სამეფო პარკის ლანდშაფტ-დიზაინერი. კომპანიას დაგეგმილი აქვს ლისის ტბის საბაგირო გზის რეკონსტრუქცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები "დოპელმეიერისა" და"ლეიტნერის" კომპანიებთან საბაგირო გზის ტიპის შერჩევასთან დაკავშირებით.

**- როდის დასრულდება საკურორტო ზონის მშენებლობა?**

- პროექტის განვითარება მოხდება 3 ეტაპად, ამისთვის საჭიროა 5 წელი. პირველი ეტაპის განხორციელება 2006 წლის ზაფხულიდან დაიწყება. პროექტში დასაქმდება 2000-მდე ადამიანი. კომპანია GRDC პროექტში დაახლოებით 60 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

---

ჩვენი გაზეთის 22 თებერვლის ნომერში (№37) გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ გაიპარა შეცდომა, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ (სხვადასხვა სახის საწვავის შესყიდვაზე) უნდა იკითხებოდეს:

"ლოტი №5

2) დიზელი L62" (შემდეგ როგორც ტექსტშია).

"ლოტი №6

1) ბენზინი 92 (სატალონო მომსახურებით) - 4000 ლიტრი".

განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ (უძრავი ქონების სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე) მესამე სვეტის ბოლოდან მეორე აბზაცი "ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით" არ არის საჭირო.

საიდენტიფიკაციო კოდი ორივე განცხადებაში უნდა იყოს 204864548.

---

გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ ქ. მცხეთის დაგვა-დასუფთავების ტენდერთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში (გაზეთის 2006 წლის 8 თებერვლის №28) უზუსტობაა:

1. "მწვანე ზოლის საერთო ფართია 1 000 000 კვ მ"; უნდა იყოს - 100 000 კვ მ.

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ასე: "დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 1 მარტიდან 2006 წლის 6 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. №136".

3. მე-17 მუხლში მითითებულ 2006 წლის 9 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით - უნდა იყოს "2006 წლის 6 მარტამდე".

**პატივისცემით**
**ქ. მცხეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი**
**ვ. მარტოლეკი**

---

## ცვლილებები ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ისტორიულ "ძველ ბათუმში" საიათნოვას, ელიავას, ჩკალოვის, კ. გამსახურდიას, პორტის შესახვევისა და მ. აბაშიძის ქუჩებზე არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების რეაბილიტაციის სამუშოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2006 წლის 22 თებერვლის "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები განცხადების მე-2 პუნქტში, კერძოდ მიწოდების სავალდებულო ვადის **2006 წლის 1 ივლისის ნაცვლად განისაზღვროს** ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 15 მაისამდე** პერიოდი.

**სატენდერო კომისია**

---

*ხვალ:* **თბილისის აეროპორტის მშენებლობა დაწყებული და 10 მილიონი დოლარი უკვე ინვესტირებულია, მშენებლობის პროცესი გეგმის შესაბამისად ხორციელდება.**

TAV Georgia

ტურინი 2006

# ელენპიადა

## ქართველი პრინცესა ყინულის დედოფლებს შორის

*სტატისტის როლი ასცდა. ყინულზე გასვლისთანავე საშიში მეტოქე გახდა. რაც გასაკეთებელი იყო, გააკეთა. ტურინის ოლიმპიურ თამაშებამდე ამბობდა კიდეც, ალბათ ათეულთან ვიტრიალებ, სულ მცირე, მე-12-13 ადგილს ვუმიზნებო. ოლიმპიური თამაშების მე-11 დღე ფიგურული სრიალის ქართველი გულშემატკივრისთვის წარმოუდგენელი შედეგით დასრულდა. 16 წლის ელენე გედევანიშვილმა ყინულის დედოფლებს შორის მე-6 ადგილი დაიკავა და თავისუფალ პროგრამაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა!*





ბიბა ბურასაშვილი

ფიგურულ სრიალს თამრიკო ჯიქიამ აზიარა. მოგვიანებით ოჯახთან ერთად რუსეთში გადავიდა. ექვსი წელიწადია მოსკოვში ცხოვრობს და ვარჯიშობს. ამჟამად ელენე ვოდორეზოვას მეთვალყურეობის ქვეშაა. რუსეთში ელენე გედევანიშვილის ნიჭი ყინულის დიდოსტატებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. თვალი დაადგეს: ეს გოგო ჩვენი უნდა გახდესო. რუსებს ქართველის ხელში ჩაგდების სურვილი დროთა განმავლობაში უფრო უმძაფრდებოდათ.

ტურინის ოლიმპიურ თამაშებამდე გამოცდილების მისაღებად დიდ ტურნირზე ასპარეზობა უნდოდა. გამოვიდა კიდეც. წლეულს ლიონის ევროპის ჩემპიონატის ყველაზე პატარა მონაწილემ ყინულის დიდოსტატებს შორის მეხუთე ადგილით დაიქუხა. Eurosport-ის რუს კომენტატორებს გედევანიშვილის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ, ბოლოს კი თქვეს, ის დროა, რუსეთის ფედერაციამ ქართველი მოციგურავის რუსეთში დატოვებაზე იზრუნოსო. ის, ვინც ლიონიდან ტრანსლირებულ ევროპის ჩემპიონატს ადევნებდა თვალყურს, შენიშნავდა, რომ ქართველი მოციგურავე ცნობილი რუსი სპეციალისტის ტატიანა ტარასოვასგან ილებდა დარიგებებს. მაშინ გედევანიშვილის მწვრთნელი ელენე ვოდორეზოვა ავად იყო. ამიტომ, მისი თხოვნით, ქართველ სპორტსმენს ლიონში ტარასოვა ახლდა.

კონტინენტის პირველობამდე დიდების მარაქაში ერთი-ორჯერ თუ გარეულა. მწვრთნელსა და შეგირდს ნაკლები დატვირთვების გამო ახალგაზრდულ შეჯიბრებებზე ჰქონდათ აქცენტი გადატანილი - ისევ და ისევ ელენეს ასაკის გამო (იანვარში 16 წლის გახდა). სწორედ ასაკის მიუხედავად, ტურინში ისე გამოვიდა, თითქოს ასეთი რანგის შეჯიბრებაზე ასპარეზობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. თითოეულ რთულ ელემენტს (სამმაგი ლუცი, სამმაგი ფლიპი სამმაგ ტულუპთან ერთად) იოლად და აუღელვებლად გაუმკლავდა, რასაც დარბაზის მქუხარე ოვაცია მოჰყვა. "კალაველას" დარბაზში თავშეყრილთა რეაქცია ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ ქართველისგან ასეთ გამოსვლას არავინ ელოდა, თუმცა, ევროპის ჩემპიონატზე დაკავებულმა მეხუთე ადგილმა გარკვეულწილად სიურპრიზისთვის შეგვამზადა. მსაჯებმა ჯერ კიდევ უსახელო ქართველი მოციგურავე არ გაწირეს და ტექნიკურ ელემენტებში 33,25 ქულით დაასაჩუქრეს, კომპონენტებში - 24,65 ქულით და... ჯამში დაგროვილი 57.90 ქულით ელექტროტაბლოზე მე-2 შედეგი აკიაფდა. ცნობისთვის: იმ დროს პირველ ადგილზე მყოფ ამერიკელ კიმი მაისნერს 1,50 ქულით ჩამორჩა.

ისევ რუს კომენტატორებს მოვიშველიებ, რომლებმაც აღნიშნეს, გედევანიშვილს ქულები დააკლესო.

ელენე გედევანიშვილი მანამდე იყო მეორე ადგილზე, სანამ ყინულზე არ გამოჩნდნენ ფავორიტები - ევროპის შვიდგზის ჩემპიონი რუსი ირინა სლუცკაია, იაპონელები შიზუკა არაკავა და ფუმი სუგური, ამერიკელი საშა კოენი, რომლებიც თანამიმდევრულად ქვევით სწევდნენ ქართველ მოციგურავეს.

მიკერძოება რომ არ დამწამოთ, უცვლელად, ორიგინალში გაგაცნობთ რუს სპეციალისტთა კომენტარებს:

"Лидером женского фигурного катания перед нынешней Олимпиадой была представительница России Ирина Слуцкая. Конкуренток у нее было хоть отбавляй - американки, японки, итальянка, грузинка"...

იაპონელი მიკი ანდო, რომელიც გედევანიშვილის შემდეგ გამოვიდა და რომელიც იმითაა ცნობილი, რომ პირველია მოციგურავეთა შორის, რომელმაც ოფიციალურ შეჯიბრებებზე ოთხმაგი ბრუნი გააკეთა (ოთხმაგ ბრუნს ჯერჯერობით მხოლოდ ვაჟები ახერხებენ.-რედ.), ქართველთან შედარებით არცთუ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია.

"Японка Мики Андо, на фоне Гедеванишвили смотрелась бледно. Это впечатление усилилось рядом не очень грубых ошибок, которые допустила японская спортсменка. Потому судьи поставили ее ниже грузинской фигуристки".

სამწუხარო კი ისაა, რომ ელენე გედევანიშვილს მოსკოვში ვარჯიშს უკრძალავენ მოტივით: ან დარჩები და რუსეთის მოქალაქეობას მიიღებ, ან აქ აღარ ივარჯიშებო. ცხადია, რუსებს არ ხიბლავთ გედევანიშვილის ხელიდან გაშვების პერსპექტივა.

**ფიგურული სრიალი.**
**მოკლე პროგრამა**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| 1. საშა კოენი (აშშ) - | 66,73 |
| 2. ირინა სლუცკაია (რუსეთი) - | 66,70 |
| 3. შიზუკა არაკავა (იაპონია) - | 66,02 |
| 4. ფუმი სუგური (იაპონია) - | 61,75 |
| 5. კიმი მაისნერი (აშშ) - | 59,40 |
| **6. ელენე გედევანიშვილი (საქართველო) -** | **57,90** |

ფეხბურთი

# დებიუტი ავტოგოლმა იხსნა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის სასტარტო, საერთო ჯამში კი მე-16 ტური პირველ რიგში იმით იყო გამორჩეული, რომ თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანდრეი ჩერნიშოვის ოფიციალური დებიუტი შედგა. თელავის "კახეთთან" გუშინდელ თამაშამდე ჩერნიშოვის ხელმძღვანელობით "დინამომ" ხუთი მატჩის ჩატარება კი მოასწრო, მაგრამ ის თამაშები გუნდმა კვიპროსზე, საწვრთნელი შეკრების დროს ჩაატარა. შესაბამისად, ნიქოზიაში განცდილ ორ მარცხს, ერთ ფრეს და ორ გამარჯვებას მხოლოდ მორალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

გუშინდელი თამაში კი სპორტული თვალსაზრისით სულ სხვა იყო, რაც პირველივე წუთებიდან საკუთარ ნერვებზე გამოსცადა რუსმა მწვრთნელმა. აუტსაიდერთა ჯგუფში მყოფი თელავის "კახეთი" "კერკეტი კაკალი" გამოდგა და ყველანაირად ეცადა, რომ ჩერნიშოვისთვის დებიუტი ჩაემწარებინა. უნდა ითქვას, რომ ძალიან ცოტა დააკლდა: თელაველებმა 85 წუთის განმავლობაში "დინამოს" ყველა შეტევა მოიგერიეს. მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ საფეხბურთო ფორტუნამ ჩერნიშოვი დაინდო და რაც ვერ გააკეთეს მისმა ფეხბურთელებმა, თელაველ კობაიძეს გააკეთებინა: მელქაძის დარტყმული თელაველთა ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე ცინაძემ მოიგერია, მაგრამ კობაიძის დამატებულს ველარაფერი მოუხერხა და ამ კურიოზული გოლის წყალობით "დინამომ" სამი ქულა ჩაიწერა აქტივში.

"საკუთარ თავს თვითონვე შევუქმენით პრობლემები. პირველ ტაიმში შექმნილი ხელსაყრელი საგოლე მომენტების ნაწილიც რომ გამოგვეყენებინა, სანერვიულო არაფერი გვექნებოდა. იმ ფაქტმა, რომ გოლის გატანას ვერ ვახერხებდით, მეტოქეს საკუთარი ძალების რწმენა შემატა. მეორე ტაიმში "კახეთი" უფრო დამაჯერებლად მოქმედებდა. თამაშის ხარისხით, თქმა არ უნდა, უკმაყოფილო ვარ. სასიხარულო მხოლოდ ის არის, რომ მატჩი მოვიგეთ და სამი ქულა ჩავიწერეთ", - თქვა პრესკონფერენციაზე ანდრეი ჩერნიშოვმა.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ბორჯომში, სადაც დებიუტანტმა, თუმცა ამბიციურმა ადგილობრივმა "ბორჯომმა" ბათუმის "დინამოს" უმასპინძლა. ეროვნულ სტადიონზე გამართული მატჩისა არ იყოს, ამ შეხვედრაშიც მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, რომელიც სტუმართა თავდამსხმელის ჯიქიას ანგარიშზეა. ეს 30-ე წუთზე მოხდა. ბათუმელებმა საგრძნობლად გაიმყარეს სატურნირო პოზიციები.

ლიდერთა ჯგუფის დანარჩენმა წარმომადგენლებმა დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს. სატურნირო ცხრილში დაწინაურებულმა "ვიტ ჯორჯიამ" სამი უპასუხო გოლი გაუტანა ფოთის "კოლხეთს" (დიღმელაშვილი, იმედაშვილი, კვახაძე), ხოლო ბოლნისის "სიონმა" თბილისის "ლოკომოტივს" გაუტანა ოთხი გოლი, თანაც ისე, რომ საკუთარი კარი ცხადაძის შეგირდებმა "მშრალად" შეინახეს. ამ შეხვედრაში დუბლით გამოირჩა მიკუჩაძე, ხოლო თითო გოლი ხუციშვილმა და "დინამოდან" იჯარით აყვანილმა კვიტაიშვილმა გაიტანეს.

მატჩს ზესტაფონში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი დაესწრო. ერთ დროს "მომავლის გუნდად" შერაცხულმა "ზესტაფონმა" გამოკვეთილ აუტსაიდერს თბილისის "თბილისს" უმასპინძლა და საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა სასურველი შედეგის მისაღწევად. თბილისელებმა მასპინძლებს პირველ ტაიმში საკუთარი კარი არ დაანებეს. მეორე ნახევარში ჯერ იონანიძემ, ხოლო შემდეგ ჭელიძემ ორი გოლი გაიტანეს, რასაც სტუმრებმა კვარაცხელიას გოლით უპასუხეს. "ზესტაფონიც" თანდათან უახლოვდება ლიდერთა ჯგუფს.

**მე-16 ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) - კახეთი | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია - კოლხეთი | 3:0 |
| ბორჯომი - დინამო (ბთ) | 0:1 |
| ზესტაფონი - თბილისი | 2:1 |
| სიონი - ლოკომოტივი | 4:0 |
| ამერი - ტორპედო | 5:1 |

16 ტურის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" 39 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: "სიონი" - 38, "დინამო" (თბ) - 35, "ლოკომოტივი" - 33, "ამერი - 32, "ბორჯომი" - 30, "ზესტაფონი" - 30...




ხვალ: "ტავ ჯორჯია" თბილისის საერთაშორისო აეროპორტების მშენებლობაში 62 000 000, ხოლო ბათუმის აეროპორტის მშენებლობაში 15 000 000 დოლარის ინვესტირებას აპირებს.
TAV Georgia

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## ფრთხილად, კარები იკეტება!

*ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დაძაბვას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ერთი სამწუხარო და შემაშფოთებელი ფაქტიც - წყდება ორი დაპირისპირებული მხარის დიალოგი, ვითარების განმუხტვის ერთადერთი იარაღი. სამწუხარო კი ის არის, რომ ამ დიალოგის გადასარჩენად ქართული მხარე არაფერს აკეთებს. უფრო მეტიც, როგორც ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი აღნიშნავს, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო დაგეგმილი შეხვედრებიც ჩაშლილა. არადა, რეალური საშიშროება იქმნება იმისა, რომ აფხაზურმა მხარემ, რომელიც ქართულ მხარესთან კონტაქტზე ჯერ კიდევ გამოდის, მოლაპარაკებებზე უარი განაცხადოს. ამისათვის ყველა ღონეს ხმარობს რუსეთი, რომლის შეგულიანებით აფხაზეთში კოსოვოს "პრეცედენტს" სასოებით ელიან. შედეგად, საქართველოსკენ გახსნილი კარები, რომელიც აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების დროს რუსეთის ძალმომრეობის შედეგად გაიღო, ნელ-ნელა იკეტება. იკეტება ისე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შიგნით ერთი თვალითაც არ შეიჭყიტა და ერთი სიტყვაც არ შეაგდო. გვესაუბრება ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის - "შერიგების რესურსების" პროგრამების კოორდინატორი საქართველოში პაატა ზაქარეიშვილი.*

ზაზა ფარუაშვილი

**- ბატონო პაატა, "შერიგების რესურსებმა" თბილისში მოაწყო სამხრეთ კავკასიის ჟურნალისტთა ფორუმი. როგორ ჩატარდა იგი?**

- ეს არის პროექტი, რომელიც კონფლიქტურ მხარეთა ჟურნალისტებს აერთიანებს. ფაქტობრივად, ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა პროექტში ჩართულია კონფლიქტის ყველა მხარის ჟურნალისტი - აფხაზები, ოსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ყარაბაღის წარმომადგენლები. ეს პროექტი თავიდან "რადიოდღიურების" ქართულ-აფხაზური პროექტით დაიწყო.

**- აფხაზი ჟურნალისტები თუ ჩამოვიდნენ?**

- აფხაზეთიდან უნდა ჩამოსულიყო ხუთი ჟურნალისტი, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ბოლო მომენტში მათ აფხაზეთის უშიშროებამ წამოსვლა აუკრძალა (თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ერთი ადამიანი მაინც ჩამოვა).

**- რამ განაპირობა ეს ფაქტი?**

- მართალია, საქართველოს ხელისუფლებიდან ზემოქმედება ყოფილი სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ხდება და არა აფხაზეთის მხარეს, მაგრამ რუსეთმა აფხაზეთში ვითარება ხელოვნურად დაძაბა. მან უნდა აჩვენოს მსოფლიოს, რომ საქართველოში სერიოზული პრობლემებია. აფხაზეთის საზოგადოებამ მისი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით გააკეთა უპრეცედენტო განცხადება, თითქოს ომი იწყება. მაგრამ ეს აფხაზეთის შემთხვევაში ასე არ არის. საქართველოს შესახებ რაც უფრო ხმაური იქნება საზღვარგარეთ, მით უფრო დაეცემა ქვეყნის იმიჯი. რატომღაც ბევრს პირიქით ჰგონია. რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოში არსებული პრობლემები, მათ შორის - მის მიერ ხელოვნურად შექმნილი, საზღვარგარეთ გაიტანოს და ევროსტრუქტურებში გვეკამათოს. რუსეთი ამით აფიქსირებს, რომ საქართველო პრობლემების ქვეყანაა, რაც მსოფლიოში თანდათან გვიქმნის კრიზისების ქვეყნის იმიჯს. აფხაზეთში



პირობითი საზღვარი ენგურზე.

ზაზა ფარუაშვილის ფოტო

მიმდინარე დაძაბულობაც, რა თქმა უნდა, ამ კონტექსტში მოიაზრება.

**- სულ ახლახან რუსეთმა გაეროში თავისი გაიტანა და გაეროს უშიშროების საბჭომ რეზოლუცია საერთაშორისო დამკვირვებლების შესახებ რუსეთის კარნახით მიიღო - გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის რეკომენდაციის მიუხედავად, დამკვირვებელთა მანდატი აფხაზეთში ექვსი თვის ნაცვლად მხოლოდ ორი თვით გააგრძელა. ამასთან დაკავშირებით რა დასკვნების გაკეთება შეიძლება?**

- რუსეთმა განახორციელა კიდევ ერთი დემარში და საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინა. თქვა, რომ გაეროში მთავარია ის და არა კოფი ანანი. გაეროს პოლიტიკას უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი წარმართავს, მათ შორის, რუსეთი. რუსეთმა დაგვანახა, რომ როცა საქმე საქმეზე მიდგება, რუსეთი თავისას გაიტანს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ გაერო ყოვლისშემძლე არ არის. გაერო არ არის ის ორგანიზაცია, სადაც შეიძლება რუსეთს მოერიო.

**- სად შეიძლება რუსეთს მოვერიოთ?**

- ჩვენ რუსეთს შეიძლება მოვერიოთ ცხინვალში, აფხაზეთში. ვერ გავიგე, რატომ წაუყრუებს ხოლმე ქართული მხარე, როცა საუბარია ოსებზე და აფხაზებზე? თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის სარკმელი, რომელიც ჩვენსა და აფხაზებს შორის აფხაზეთის არჩევნების დროს გაიჭრა, ნელ-ნელა იკეტება. მას შემდეგ, რაც კოსოვოს აბსოლუტურად უსაფუძვლო და უპერსპექტივო თემა ამოტივტივდა და აფხაზებს რაღაც ილუზიები გაუჩნდათ, საქართველოს მიმართ მათ ინტერესი ეკარგებათ. არადა, აფხაზები კონტაქტებისათვის მზად იყვნენ. სამწუხაროდ, ამას ისიც ემატება, რომ ქართული მხარის მიზეზით აფხაზურ მხარესთან რამდენიმე სერიოზული შეხვედრა ჩაიშალა. ამიტომ აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის შანსი, რუსეთის გარეშე, კიდევ რამდენიმე წლით გადაიდო. რეალური საშიშროებაა იმისა, რომ ქართულ მხარესთან დიალოგზე აფხაზებმაც უარი თქვან. ვითარება შებრუნდა და, სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსები არიან მოლოდინში, იმის მაგივრად, რომ აფხაზი პოლიტიკოსები ელოდნენ ჩვენგან შეთავაზებებს. რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არაა. მთავარია, ვიბრძოლოთ აფხაზი ხალხისთვის და ოსი ხალხისთვის. სამწუხაროდ, სააკაშვილის გამოსვლაში საერთოდ არ იყო საუბარი აფხაზი და ოსი ხალხის ინტერესებზე.

ამავე პათოსს ეხმიანება საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის ინიციატივა ქართველი დევნილების ქონების დაკანონებასთან დაკავშირებით. კოსმოსიდან სახლების გადაღება და დაკანონება საინტერესო იდეაა, მაგრამ აფხაზეთში აფხაზებიც ცხოვრობენ. ისინიც ხომ საქართველოს მოქალაქეები არიან? მათზე რატომ არ ლაპარაკობენ? მათ ქონება არ გააჩნიათ? მხოლოდ ქართველ დევნილებზე ზრუნვაა ჩვენი მოვალეობა? ასე ცალმხრივად ლაპარაკი შეიძლება? ამის გამო ალმოჩნდნენ ქართველები დევნილობაში. სანამ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვას არ ვისწავლით, არაფერი გამოგვივა. დევნილებს ქონებრივი უფლების აღდგენა შეეძლებათ რესტიტუციის შესაბამისად, როგორც კი დაბრუნდებიან. პრობლემა დაბრუნებაშია და არა ქონების აღდგენაში. ამიტომ ამ იდეას აფხაზეთის პრობლემასთან კავშირი არა აქვს. ეს დევნილებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, მეტი არაფერი.

**- სამშვიდობოების პრობლემა?**

- ძალიან მნიშვნელოვანია ამ პრობლემაზე საუბარი და ძალიან კარგი იქნება რუსი სამშვიდობოების გაყვანა, მაგრამ თუ არ გადიან, ამის გამო არ უნდა გავჩერდეთ. მივადექით სამშვიდობო ძალების ამ "კედელს" და ვასკდებით და ვასკდებით. სხვა რაღაცაც გავაკეთოთ: მივიღოთ კანონი რესტიტუციის შესახებ, შევაფასოთ გასული წლების მოვლენები (1994, 1998, 2004), დავუბრუნოთ მიწები ოსებს და ა.შ. უამრავი ისეთი ეფექტური ნაბიჯის გადადგმა შეგვიძლია, რაშიც რუსები ხელს ვერ შეგვიშლიან. არ მესმის, ამასთან დაკავშირებით ქართველი პოლიტიკოსები რატომ ჯიუტობენ. გამორიცხულია, ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან უფრო გადავწყვიტოთ პრობლემები, ვიდრე სოხუმიდან და ცხინვალიდან.

**- ამ საკითხებთან დაკავშირებით თუ ხდება არასამთავრობო სექტორის ხელისუფლებასთან შეხვედრა?**

- არანაირი შეხვედრა აღარ მიმდინარეობს. სამი შეხვედრა იყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლებას ეს სჭირდებოდა მხოლოდ ფორმალურად. როდესაც ამ შეხვედრებიდან პრესა გადიოდა, საკმაოდ მკაცრი საუბარი იწყებოდა, რაც, ალბათ, ხელისუფლებას არ მოსწონს. ის სამშვიდობო გეგმა, რაც სააკაშვილმა 2005 წლის იანვარში სტრასბურგში წარმოადგინა, მის მაგიდაზე არასამთავრობოების მიერ 2004 წლის მაისში იქნა დადებული. მაშინ ეს გეგმა გვერდზე გადადეს და შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა. მერე დაუბრუნდნენ ამ გეგმას. გამოდის, საექსპერტო საზოგადოებაშიც არიან ისეთი სპეციალისტები, ვისაც შეიძლება რაღაც ჰკითხო. სამწუხაროდ, დღეს ექსპერტთა აზრი იგნორირებულია. ამიტომ არასამთავრობო სექტორს ისევე მოუწევს დღეს "ოფიციალური კედლების" ნგრევა, როგორც ამას წინა ხელისუფლებების დროს აკეთებდა. ჩვენ არ გვაქვს უფლება, გავბრაზდეთ, ნერვებს ავყვეთ და ჩვენს საქმიანობაზე ხელი ავიღოთ. ჩვენი საქმეა, ოსებს და აფხაზებს საქართველო გადავურჩინოთ. მათ სხვა გამოსავალი, საქართველოს გარდა, არ გააჩნიათ.

მოკლედ

## ზამთრის პროექტი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკ-ი) წარმომადგენლობა საქართველოში ახორციელებს ზამთრისათვის დასახმარებელ პროექტს უკიდურესად გაჭირვებულ დევნილთა ოჯახებისთვის ქალაქ ზუგდიდსა და ცხინვალში. პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ, შესაბამისი რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით.

პროექტი მოიცავს ათამდე დიდ და რამდენიმე პატარა, კომპაქტურად ჩასახლებულ ცენტრებს ზუგდიდში, სულ 690 ოჯახს, და 200 ოჯახს ცხინვალში, რომლებიც განსახლებულნი არიან კომპაქტურად ჩასახლებულ ცენტრებში და ბინებში ქალაქის მასშტაბით.

საქართველოს მთავრობის (კერძოდ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს) მოთხოვნით ამა წლის 4 თებერვალს გლუკმა წყალტუბოში ჩაიტანა 90 კუბური მეტრი შეშა, ზამთრის ქურთუკები და ფეხსაცმელი 500 ბავშვისათვის, დაახლოებით 800 ცალი საბანი და 6000 კვმ პლასტიკური საფარი. ჰუმანიტარული დახმარება იმ დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში განაწილდა, რომლებიც დაზარალებულნი იყვნენ ექსტრემალური კლიმატური პირობების შედეგად.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**,
ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები



*სოხუმი, 1959 წელი. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის IV კლასი. დამრიგებელი - მანიკო გოგიშვილი. ფოტო მოგვაწოდა ციური ცაავამ.*

## ნგრევის აღწერა გალში





*2005 წლის შემოდგომაზე ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის (ECHO) დაფინანსებით ლტოლვილთა დანიის საბჭომ (DRC) გალის რაიონში საცხოვრებელი პირობების შეფასება მოახდინა. შეფასებამდე არ არსებობდა ინფორმაცია გალის რაიონში დაზიანებული სახლების რაოდენობის შესახებ. შეფასების შედეგების პრეზენტაცია გასულ კვირას სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა.*

ლელა მარგიანი

1992-1993 წლებში აფხაზეთში გაჩაღებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა გამოიწვია დაახლოებით 300 ათასი ადამიანის - აფხაზეთის ომამდელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის იძულებით გადაადგილება და შავ ზღვასა და კავკასიის მთებს შორის გადაჭიმული, ოდესღაც აყვავებული რეგიონის დესტაბილიზაცია და დანგრევა.

შემდეგ, 1994 წლიდან დევნილებმა დაიწყეს გალის რაიონში დაბრუნება, მაგრამ მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა, 1998 წელს საომარი მოქმედებები კვლავ განახლდა გალის რაიონში, რამაც ქართული მოსახლეობის მხრიდან რაიონის ხელახალი დატოვება გამოიწვია.

დღეს, ისევე როგორც თოთხმეტი წლის წინათ, გალის რაიონის მცხოვრებთა უმეტესობა ეთნიკური ქართველია. კონფლიქტის შედეგად 79 ათასმა ადამიანმა დატოვა იძულებით რაიონი, ხოლო უკანასკნელ წლებში დანარჩენი საქართველოდან გალის რაიონში დაახლოებით 45 ათასი ადამიანი დაბრუნდა სპონტანურად. ბევრი თავის ომამდელ, დანგრეულ სახლებში დაბრუნდა და მათ არანაირი სათანადო საცხოვრებელი პირობები არ აქვთ.

როგორც პრეზენტაციაზე გაეროს უმაღლესი კომისარიატის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნავიდ ჰუსეინმა აღნიშნა, **"გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი საქართველოში ცამეტი წელია მოღვაწეობს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გალის რაიონს. თუმცა, მაინც ხშირია თხოვნა, რომ კომისარიატმა გალში მუშაობა კიდევ უფრო გაააქტიუროს. ასევე უნდა გაგრძელდეს ჰუმანიტარული პროექტების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას. ჩვენ შევიმუშავეთ ნდობის აღდგენის სტრატეგია, რომელსაც ორივე მხარე მიესალმა. იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც შექმნილია საქართველოში მუშაობის პროცესში, ის ხალხი, ვინც სტიქიურად დაბრუნდა გალის რაიონში, საჭიროებს დახმარებას. მათთვის დახმარების აღმოჩენა კი შესაძლებელია მიზნობრივი პროექტების განხორციელებით, სადაც ჩატარდება კვლევები მათი ყოფითი პირობების შესწავლის მიზნით. სწორედ ასეთ ამოცანას ისახავდა მიზნად ის კვლევა, რომელიც განხორციელდა ლტოლვილთა დანიის საბჭოს თანამშრომლების მიერ. ჩვენ გვინდოდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია გვქონოდა."**

ამ მიზნით, გასული წლის შემოდგომაზე ლტოლვილთა დანიის საბჭომ აფხაზეთში, გალის რაიონში საცხოვრებელი პირობების ყოვლისმომცველი შეფასება ჩაატარა. ცნობილია, რომ გეოგრაფიულად რაიონი დაყოფილია "მაღალ ზონად" და "დაბალ ზონად". ახალი საზღვრების შესაბამისად, ოთხი სოფელი - დიხაზურგა, საბერიო, ლეკუხონე და მახუნჯია მაღალ ზონაშია მოქცეული, ხოლო დანარჩენი 14 სოფელი - დაბალში. კვლევები ჩატარდა გალის რაიონის თვრამეტივე სოფელში და თავად რაიონულ ცენტრში.

ჩატარებული საცხოვრებელი პირობების შეფასების ამოცანები იყო შემდეგი: გალის რაიონში ცალკეული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის საჭიროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, მოსახლეობისთვის პირობების გაუმჯობესებაში დახმარებისკენ მიმართული საქმიანობისთვის ოპტიმალური მოდელის შეთავაზება, სავარაუდო რეაბილიტაციის მთლიანი ღირებულების დაანგარიშება.

აქამდე მსგავსი ხასიათის შეფასება კონფლიქტის ზონაში არასდროს ჩატარებულა. შესაბამისად, არ არსებობდა ინფორმაცია გალის რაიონში დაზიანებული სახლების რაოდენობასთან და რეაბილიტაციის შესაბამის ხარჯებთან დაკავშირებით, არ არსებობდა ინფორმაცია არც დაზიანებული სახლების რეაბილიტაციაში მონაწილეობის მხრივ გალში დაბრუნებული დევნილი მოსახლეობის რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ.

შეფასებამ გამოავლინა, რომ გალის რაიონში ომამდე არსებული სახლების 25 პროცენტი არის დაზიანებული, ამასთანავე, ამ სახლების 45 პროცენტში ცხოვრობს მოსახლეობა. არსებული სიტუაციის სურათის წარმოსადგენად სახლები პირობითად 0-დან 5-მდე კატეგორიებად დაიყო.

ზემოხსენებულზე დაყრდნობით დადგინდა დაზიანების მასშტაბი თითოეულ სოფელსა და მთლიანად რაიონში.

კვლევამ აჩვენა, რომ სულ გალის რაიონში დაზიანდა სახლების ერთი მეოთხედი, ანუ 4431 სახლი, 1989 წლის აღწერით არსებული 18748 სახლიდან. ქალაქ გალში დაზიანებული სახლების ყველაზე დიდი კონცენტრაციაა. 12 სოფელში 300-ზე მეტი სახლია დაზიანებული. ამავე დროს, 10 სოფელში დაზიანებულია მთელი სახლების 50 პროცენტი. ამ სოფლებში პირველ ადგილზეა სოფელი ზემობარღები. "შთამბეჭდავი" მონაცემებით, იქ სახლების 89,8 პროცენტი საცხოვრებლად უვარგისია.

ამავე დროს, მთელი დაზიანებული სახლების 40,3 პროცენტი თავიდან არის ასაშენებელი, 36,8 პროცენტი განეკუთვნება მე-3 კატეგორიას, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლებს აქვს მხოლოდ სახურავები, დაზიანებულია გარეთა და შიდა კედლები. სახლებს არ აქვს კარ-ფანჯარა.

შეფასებული 4431 სახლიდან 1932 დასახლებულია.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, გალის რაიონში დაბრუნებულმა მოსახლეობამ დიდი სურვილი გამოთქვა, აღადგინოს საკუთარი დაზიანებული სახლები. ბევრმა უკვე ჩაატარა თავისი დროებითი საცხოვრებლის რემონტი. მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, სერიოზული ტექნიკური დახმარება სჭირდებათ. ამიტომ, კვლევის ჩატარების ინიციატორები მოუწოდებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ გალის რაიონში სპონტანურად დაბრუნებული ქართული მოსახლეობა საჭირო სამშენებლო მასალებით, სამშენებლო ინსტრუმენტებით უზრუნველყონ და საჭირო ტექნიკური დახმარება აღმოუჩინონ.

**"ლტოლვილთა დანიის საბჭოს სურს, მოუწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, გამართონ დისკუსია, შემდეგ კი მონაწილეობა მიიღონ გალის რაიონში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისკენ მიმართული დახმარების მიმართ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაში. გარდა იმისა, რომ სახლების სასწრაფო შეკეთებაა საჭირო. აუცილებელია, აგრეთვე, სხვა დამატებითი სახის ზომების მიღებაც რაიონში ღირსეული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად,"** - განაცხადა პრეზენტაციაზე ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში, ქალბატონმა რიკე ფრისმა.

*ხვალ:* საქართველოს, თბილისსა და ბათუმში, ორი ევროსტანდარტების დონეზე აღჭურველი საერთაშორისო აეროპორტი ექნება, რომელიც 10 ჯერ მეტ მგზავრს და 10 ჯერ მეტ მოგებას მოუტანს ქვეყანას.

TAV Georgia

# აქვს თუ არა ლოკოკინას ნიჟარაში აბაზანა?

## ქართველი მეზღაპრის თანაავტორები შვილები არიან

ირმა კახურაშვილი

ზღაპრების კრებულის - "ქერამუჭას სკოლის" პრეზენტაციას, რომელიც "თი-ბი-სი" ბანკის ბიბლიოთეკის სასიამოვნო გარემოში გაიმართა, უამრავი ბავშვი და მოზრდილი დაესწრო. შესანიშნავმა ზღაპრებმა გამოცემამდე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და მერწმუნეთ, არ შემცდარა. თუ ამ ზღაპრებს ძილის წინ თქვენს პატარებს წაუკითხავთ, თქვენც მშვენიერ გუნებაზე დადგებით და მშვიდად დაგეძინებათ. მათი ავტორი, ახალგაზრდა მწერალი ირმა მალაციძე აღიარებს, რომ მისი თანაავტორები საკუთარი მცირეწლოვანი შვილები არიან. ისინი პერსონაჟებს დაუზარლად არქმევენ უცნაურ სახელებს და ხშირად იდეის მომწოდებელთა როლსაც ითავსებენ.

"ქერამუჭას სკოლა" (მხატვარი მაკა ლდოკონენი), რომელშიც სხვადასხვა დროს დაწერილი 13 ზღაპარია შესული, ირმა მალაციძის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი როდია. 2004 წელს მან გამოსცა პირველი საბავშვო წიგნი "სატკბილეთის ქვეყანა". ამავე წელს გამოიცა მისი პროზაული კრებული "ფატია". "დიდებისთვის" დაწერილი წიგნი რეზონანსული აღმოჩნდა და ნომინირებული იყო ლიტერატურულ პრემიაზე "საბა" ნომინაციაში "საუკეთესო პროზაული ნაწარმოები". ირმა მალაციძე გახლავთ საქველმოქმედო პროექტის ავტორიც. "ზღაპრები ირმა მალაციძისგან" - ასე ერქვა აუდიოჩანაწერს, რომელიც უანგაროდ გადაეცა უსინათლო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. მალაციძე არაერთი ლიტერატურული კონკურსის მონაწილე და გამარჯვებულია, თუმცა მიიჩნევს, რომ მისთვის უმთავრესი მაინც საბავშვო პროზაა.




მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ავტორის ყოველდღიური სამუშაო სრულიად არალიტერატურულია (სოციალური დახმარებისა და დასაქმების ცენტრი), ზღაპრების წერას მაინც ახერხებს. მეტიც, ცდილობს ლიტერატურულ პროცესებს ფეხი აუწყოს და შეძლებისდაგვარად ითანამშრომლოს ლიტერატურულ გამოცემებთან.

"სამწუხაროდ, თანამედროვე მეზღაპრეებით გამომცემლები ნაკლებად ინტერესდებიან, რის გამოც ახალგაზრდა ავტორები ჩრდილში ექცევიან. მსხვილი გამომცემლობები ჯანი როდარის ზღაპრებს ანიჭებენ უპირატესობას, ახალ თაობას კი ნაკლებად სწყალობენ. ამიტომ ახალგაზრდა ავტორები იჩაგრებიან და იძულებული არიან საბავშვო ლიტერატურა საკუთარი ხარჯით გამოსცენ. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ეს დროებითია," - დარწმუნებულია ირმა მალაციძე. "ქერამუჭას სკოლაც" მცირეტირაჟიანია (სულ 500 წიგნი დაიბეჭდა) და ავტორის ოჯახის წევრების პირადი ძალისხმევის შედეგია.

თუმცა მისი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით პატარებს, ლომის წილი მიუძღვით ამ არაჩვეულებრივი ზღაპრების შექმნაში. "ნამდვილი თანაავტორები არიან. იდეებითაც ისინი მამარაგებენ. თუ სხვა ბავშვები მშობლებს ძილის წინ ზღაპრის მოყოლას სთხოვენ, ჩემები ამბობენ: "მოდი, ზღაპარი დავწეროთ," - გვიმხელს მეზღაპრე. ირმას უფროსი ქალიშვილი "ნათლიაა" სულ ცინცხალი ზღაპრის პერსონაჟისა - კუსი, რომელსაც საკუთარი ბაკნიდან თავის დაღწევა სურს. სწორედ მან დაარქვა მთავარ პერსონაჟს კუსუნა. ზღაპარი ჯერ ბოლომდე არ დაწერილა, მაგრამ ბავშვები მის შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ. ერთ-ერთი ზღაპრის წერისას ირმას ქალიშვილი მარიამი დაინტერესებულა, როგორ ცხოვრობს ლოკოკინა, აქვს თუ არა ნიჟარაში აბაზანა და სხვა, რაც საბოლოოდ ზღაპრის სიუჟეტად იქცა.

რაც შეეხება უშუალოდ "ქერამუჭას სკოლას", ის საინტერესოდ გვიამბობს წერა-კითხვის მცოდნე ლოკოკინაზე, გულჩვილ მგელუკაზე, თავქუდმოგლეჯილ ბიჭზე, კეთილ კრუხ კოკრიკოზე და სხვებზე. პატარა მკითხველებს ელით დაუვიწყარი მოგზაურობა საბოროტეთში და სათაფლიაში. დარწმუნებული ვარ, წიგნი ძალიან მოგეწონებათ და მის გმირებსაც შეიყვარებთ.

ახალგაზრდა ავტორი აპირებს ზღაპრები პიესებად აქციოს. მისი შემოქმედებით უკვე დაინტერესდა ქუთაისის საბავშვო თეატრი.

# ბიძია ალფის ამბები

ფრანგულ პრესაში გამოჩნდა რამდენიმე სტატია, რომლებშიც საუბარია თანამედროვე ლიტერატურულ გამოცემებსა და მედიის სხვა საშუალებებში ჰიტლერის პერსონის აქტიურ მონაწილეობაზე. ერთ-ერთი სტატიის ავტორი შეშფოთდა კიდეც, რომ ჰიტლერსა და მის გარემოცვაზე ასეთი ხშირი საუბარი მის ისტორიულ სახეს გააუფერულებს, საზოგადოება მის მიმართ ინტერესს დაკარგავს. თუმცა, როგორც ჩანს, ყველაზე დიდ გაღიზიანებას იწვევს ნაცისტებისა და თავად ადოლფ ჰიტლერისადმი ამ ბოლო პერიოდში საზოგადოებაში გამოვლენილი შემწყნარებლური და ტოლერანტული დამოკიდებულება.

სტატია რამდენიმე პოპულარულ ლიტერატურულ გამოცემას ეხება და მათთან დაკავშირებულ ფაქტებზე საუბრობს. ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ჰიტლერის დისშვილმა - ამერიკელი მწერალი რონ ჰანსენი ანჟელიკა რაუბალის, მეტსახელად გელის ცხოვრებით დაინტერესებულა. ეს ქალბატონი ადოლფ ჰიტლერის ნახევარდის ქალიშვილია. მის შესახებ ჰანსენს რეალური ფაქტები შეუკრიბავს. სწორედ ამ ფაქტებზე აუგია ახალი რომანის სიუჟეტი.

როგორც მწერალი და სხვა ცნობები გვარწმუნებენ, გელი "ბიძია ალფთან" ორსახოვან და, შესაძლოა, ინტიმურ კავშირშიც იყო. მიუხედავად მისდამი ზოგადად კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა, გათამამებული ქალბატონი 23 წლის ასაკში უცნაურ ვითარებაში გარდაიცვლება.

სხვათა შორის, 2004 წელს კინოეკრანებზე გამოსულმა ფილმმა "დაცემა", რომელიც ჰიტლერის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს შეეხება, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მაშინაც შეშინდა ევროპა, ფილმში დიქტატორის რეაბილიტაცია არ ხდებოდეს და მისდამი სიბრალულის გრძნობა არ გაღვივდესო. ფილმისგან განსხვავებით, რომელშიც მთავარი გმირის ზოგადისტორიული მნიშვნელობა წინა პლანზეა წამოწეული, მწერალი ჰანსენი საკუთარ წიგნში ბატონი ადოლფის ცხოვრების ინტიმურ და სხვებისთვის უცნობ დეტალებს ანიჭებს უპირატესობას. ამას კი ასე ხსნის ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში: "მე ვარჩიე თავისუფალი წარმოსახვა, თუმცა, სიუჟეტის მთავარი ჩონჩხი მაინც დასაშვებსა და შესაძლებელზეა აგებული. ჩემგან შეთხზული ნებისმიერი დეტალი ისტორიიდან ფაქტებზე დაყრდნობით არის ნავარაუდები."



მაშინ, როცა შტატებში წიგნის მაღაზიის თაროებზე პირველად დაიდო ეს წიგნი, "ნიუ იორკ თაიმსი" წერდა, რომ "ჰენსონმა სწორედ ისეთი ჰიტლერი დაგვანახა, როგორიც იყო ის სინამდვილეში". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰიტლერის ცხოვრების თემას ამ მწერლის გარდა, კიდევ არაერთი გამოხმაურებაა. ისტორიის ინტერპრეტაციებსა და საინტერესო გამოძიებებს ამ თვალსაზრისით ბოლო ნამდვილად არ უჩანს. იმ სტატიების ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, რომელიც ევროპული ჟურნალებში გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ მათგანს, ნაირფეროვნების მიუხედავად, აქვს გამოკვეთილი საერთო ნიშანი - უცნაური და, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ძალზე მაცდური ინტრიგის ელემენტები. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გამომცემლობა Jourdan Le Clercq თურმე კიდევ ერთი მომავალი ბესტსელერის "ჰიტლერის დაკარგული ვაჟების" გამოცემას ამ თვის ბოლოსთვის გეგმავს.

დაბოლოს. სულ ცოტა ხნის წინ "გარდიანში" ჩვენთვის და შეშფოთებული ფრანგი ჟურნალისტებისთვის საინტერესო სტატია-ნარკვევი ("ჰიტლერებიდან ბოლო") გამოქვეყნდა, რომელშიც ადოლფის ძმისშვილებზეა საუბარი. როგორც სტატიის ავტორი ირწმუნება, დღეისთვის დიქტატორის ორმოცდაათი წლის ძმისშვილებმა უკვე არაერთხელ შეიცვალეს გვარი და ყველა, როგორც ერთი, ფიცს დებდა იმის თაობაზე, რომ არასდროს შვილს არ იყოლიებდნენ. ეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ კაცობრიობას არ დაუტოვონ ადოლფ ჰიტლერის შთამომავლობა.

# ლოპესი ესპანურად



ჯენიფერ ლოპესი ფესვებს დაუბრუნდა და ბოლო ალბომი მთლიანად ესპანურ ენაზე ჩაწერა. დისკი სახელწოდებით Como Ama Una Mujer წელს, მაგრამ ცოტა მოგვიანებით გამოვა. ალბომში შევა ესტეფანოს მიერ დაწერილი ბალადები. ესტეფანოს კი ლოპესის მსმენელი კარგად იცნობს. ის მომღერლის მეუღლის მარკ ანტონის ინგლისური და ესპანურენოვანი ალბომების პროდიუსერია. ესტეფანო ამბობს: "გაოცებულები დარჩებით, როცა ჯენიფერ ლოპესს მოუსმენთ. ის მღერის სიმღერებს, რომელთაც ძლიერი ხმა სჭირდებათ. ლოპესი ამას აკეთებს".

პარალელურად თვითონ ესტეფანო პირველი საკუთარი სოლო ალბომის პროპაგანდას ეწევა. მეორე სინგლი Vuelve Morenita რადიოში ტრიალებს და პოპულარულიცაა.

# ჰილარი კლინტონი მადამ ტიუსოს გალერეაში

ამერიკის ყოფილი პირველი ლედი, ბილ კლინტონის მეუღლე ჰილარი კლინტონი მალე მადამ ტუსოს ცვილის ფიგურების გალერაეაში დაიმკვიდრებს ადგილს. მანჰეტენის თაიმ სქვერზე მდებარე მუზეუმში 182 ფიგურაა გასნთავსებული, მათ შორის მსახიობები, მომღერლები და სპორტსმენები. ჰილარის ფიგურა პრეზიდენტების და საზოგადოებრივი-პოლიტიკური მოღვაწეების განყოფილებაში განთავსდება. ის გვერდს დაუმშვენებს ისეთ დიდ პოლიტიკოსებს, როგორებიც არიან: კენედი, რეიგანი, ბუში და თავად მისი მეუღლე ბილ კლინტონი. მის ფიგურასთან ინტერაქტიული აპარატი დაიდგმება, სადაც დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ საკუთარი აზრი დააფიქსირონ, სურთ თუ არა ამერიკის პრეზიდენტად ქალი და კონკრეტულად ჰილარი კლინტონი. შეგახსენებთ, რომ ყოფილი პირველი ლედი, რომელიც ახლა სენატორია, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს კენჭისყრას.

## TV5MONDE

### 3 თებერვალი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** სიმონი და ჟანი. კომპანია რენო-ბაროს ქრონიკები. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.05** ბაღი და დასვენება. **13.15** პარიზი წყლის ქვეშ. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** ბაქანი N1 ტელესერიალი. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** არტ რეპორტაჟი. **24.00** ჩანთის მტარებელი. მხ ფილმი. რეჟისორი კაროლინ უპერი. 2003. **24.05** ზღვის მოქცევა. მხ ფილმი. რეჟისორი იოლანდ მორო და ჟილ პორტი. 2005. **02.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები.

# ეკა და პრეზიდენტი

ნიუსები FM 98.0

**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგების" თემაა პრეზიდენტის გამოსვლა. გადაცემის სტუმარია ლევან ბერძენიშვილი. პრეზიდენტის გამოსვლა ამჯერად ისეთი არ იყო, როგორც გასულ წელს. ეს უკვე პროგრესია. კიდევ რა იყო პროგრესი?

**ლევან ბერძენიშვილი**: შარშანდელი გამოსვლა იყო ძალიან ცუდი არა მარტო ფორმით, არამედ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებით. მაგრამ ის, რაც ჩვენ შარშან დავიწუნეთ: თეატრალური ფორმა, კირკიტაძის გმირად გამოცხადება, ხალხის წამოყენება და ტაშის დაკვრა, რასაც მოჰყვა ჩვენი მკაცრი კრიტიკა, ეს წელს აღარ გამეორებულა. აგრეთვე ოპოზიცია არ გაულანძღავს, არ უხსენებია მმართველი პარტია. შინაარსობრივად კი წელს ძალიან ცუდი იყო. პრეზიდენტმა ილაპარაკა იმაზე, რაც არ იცის - მაგალითად, ლიტერატურა, მაგრამ არ ისაუბრა იმაზე, რაც იცის - მაგალითად, პოლიტიკა.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ არ გალანძღა ოპოზიცია და რატომ არ ახსენა ნაციონალური მოძრაობა?

**ლევან ბერძენიშვილი**: ჩემი აზრით, იმიტომ, რომ მას ძალიან უნდოდა ეს დღე მშვიდობიანად დასრულებულიყო.

**ეკა კვესიტაძე**: თქვენ ვერ აპატიეთ პრეზიდენტს, რომ რუსთაველი და ორბელიანი ერთმანეთში აერია.

**ლევან ბერძენიშვილი**: საქმე ის კი არ არის, მე რა ვერ ვაპატიე პრეზიდენტს, საქმე ის არის, რომ ციცერონმა თქვა: შეცდე - ეს არის ადამიანური. შეცდომა ყველას მოუვა, მეც, თქვენც, მაგრამ ციცერონი ამბობს აგრეთვე: სიბრიყვე არის შეცდომაში გაჯიუტება. პრეზიდენტ საააკაშვილს შეიძლება შეეშალოს, მაგრამ ეს იყო გააზრებული შეცდომა.

**ეკა კვესიტაძე**: არის თუ არა ეს ტრაგედია?

**ლევან ბერძენიშვილი**: ტრაგედია ის არის, როცა ტრაბახობ სახელმწიფო მიღწევებზე და პრეზიდენტი ვერ ავლენს თავის განათლებას. ტრაგედია ის არის, რომ იმ ადამიანს, ვინც გამოსასვლელ სიტყვას უწერს, ძალიან დიდ თანხას უხდის. ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება დავიჯეროთ ქვეყნის წარმატებები. აქ გამომჟღავნდა ნაციონალური მოძრაობის მიერ პოეზიის ღრმა არცოდნა.

**ეკა კვესიტაძე**: რას იტყვით ენერგეტიკის წარმატებაზე, განათლების რეფორმებზე?

**ლევან ბერძენიშვილი**: ენერგეტიკაში გაუმჯობესება არის, მაგრამ ისეთი წარმატება, როგორიც პრეზიდენტმა თქვა, ნამდვილად არ არის. რაც შეეხება განათლებას, დადებითი მომენტები აქაც არის, რეფორმები წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა, დიდი თანხებია საჭირო, რომელიც არ მიეწოდებათ.

**ეკა კვესიტაძე**: რა არის სუბიექტური მიზეზი?

**ლევან ბერძენიშვილი**: სუბიექტური მიზეზი ის არის, რომ პრეზიდენტს არ უნდა დაენიშნა უნივერსიტეტის რექტორი; რა იცის მან აკადემიური სწავლების?!

**ეკა კვესიტაძე**: რატომ არ მოუსმინა პრეზიდენტმა ოპოზიციას?

**ლევან ბერძენიშვილი**: მას არ უნდოდა კონფრონტაცია. რაც დრო გადის, პრეზიდენტი თანდათან შორდება საზოგადოებას. მას ეზარება სხვისი აზრის მოსმენა.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ არ ხერხდება დიალოგი საზოგადოებასთან?

**ლევან ბერძენიშვილი**: თავისუფლების ინსტიტუტის აზრით, საზოგადოება არ არის საჭირო.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ არ ისაუბრა სამაჩაბლოზე და სამშვიდობოებზე?

**ლევან ბერძენიშვილი**: სამაჩაბლოს საკითხი პარლამენტს უნდა განეხილა. რაც შეეხება სამშვიდობოებს, ჯერჯერობით არ არის არანაირი გადაწყვეტილება ხელისუფლებაში.

**ეკა კვესიტაზე**: ამ ყველაფრის შემდეგ როგორ დაგვეხმარება დასავლეთი?

**ლევან ბერძენიშვილი**: დასავლეთმა ძალიან კარგად იცის, თუ რა ქვეყანაა საქართველო. ევროპაში უამრავი ადამიანია, რომელთაც არ სურთ რუსეთის გაღიზიანება, არ სურთ საქართველო ევროკავშირში შევიდეს. ევროპა დაგვეხმარება მაშინ, როცა ჩვენში დაინახავს ცვლილებების ძალას.

# დათვები ერთი წლით გვემშვიდობებიან

გასული შაბათი ბერლინის 56-ე კინოფესტივალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო. იმ საღამოს "ოქროს დათვის" მფლობელი ფილმი გამოვლინდა. ბერლინის ფესტივალის რჩეული გამოდგა ბოსნიური ფილმი Grbavica. 30 წლის რეჟისორს იასმინა ჟბანიჩს მთავარი პრიზი გადასცა ჟიურის თავმჯდომარემ, ინგლისელმა მსახიობმა შარლოტა რემპლინგმა.

ფილმში იხსნება ბალკანეთის ომის შემდგომი ცხოვრება, კონკრეტულად კი ერთი ადამიანის, ახალგაზრდა ქალის ცხოვრება. ფესტივალის დამაგვირგვინებელ ცერემონიალზე ჟბანიჩი სიტყვით გამოვიდა: "მინდა ამ ფილმით ყველას შევახსენო, რომ ომი ბოსნიაში 13 წლის წინ დამთავრდა, მაგრამ მაშინდელი დამნაშავეები დღემდე მშვიდად ცხოვრობენ ევროპაში."

"ვერცხლის დათვი" ინგლისელმა რეჟისორებმა მაიკლ უინტერბოტომმა და მედ უატკროსმა დაიმსახურეს დოკუმენტური ფილმისთვის "გზა გუანტაროსკენ". ფილმი ეხება ნამდვილ ამბავს სამი ბრიტანელი მუსლიმანის შესახებ, რომლებიც ბრალეულობის დაუმტკიცებლად ამერიკულ საპატიმროში ჰყავდათ ორი წლის განმავლობაში.

გრან-პრი ჟიურიმ ფილმს A Soap-ს და ირანულ კომედიას Offside-ს გადასცა. პირველი ფილმი ქალისა და ტრანსსექსუალის სიყვარულის ამბავს შეეხება. ირანული კომედია კი განსაკუთრებით ფეხბურთის თაყვანისმცემლებს ხიბლავს.

"ვერცხლის დათვი" ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის სანდრა ხელერმა დაიმსახურა. წლევანდელ კინოფესტივალზე 56 ქვეყნიდან ბერლინში თავმოყრილი 360 სურათი იხილეს. გერმანიის დედაქალაქში 18 ათასი სტუმარი ჩავიდა და კვირას 56-ე კინოფორუმი მათთან ერთად საზეიმოდ დაიხურა.


## სწავლა ლონდონში
London school of Commerce (LSC)

London School of Commerce (LSC) დივიზიონი, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (STM) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება. UNIVERSITY OF SUNDERLAND (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება LIVERPOOL JOHN MOORES UNIVERSITY (LJMU) და UNIVERSITY OF EAST LONDON (UEL) უნივერსიტეტთან ერთად.

პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ - აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2006 10 აპრილი.

MBA

- მარკეტინგი
- ფინანსები
- საერთაშორისო მენეჯმენტი

სრული კურსის ფასი £4950 ხანგრძლივობა 1 წელი

ბიზნესისა ან ბიზნესინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA(HONS)BS, BSc BS. მთლიანი ღირებულებაა £ 5950. ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამეტებითი £ 1000 -ის გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-5 სართული, ოფისი 504. ბრიტანეთის სახლი
**ტელ: + 995 32 42 00 50**
**ტელ/ფაქს: + 995 32 42 00 40 , მობ. + 995 77 42 35 69**
**Email: info@stmlondon.co.uk**
**Email: nona-STM@mail.ru**

## გლობალ ერთი აცხადებს ვაკანსიას პროგრამისტის თანამდებობაზე

მოთხოვნები:
ამ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
**ორაკლის სისტემაში მუშაობის გამოცდილება**
პროგრამირების ენა : დელფი,
წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები;
ავტობიოგრაფია (CV)
განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
რეკომენდაცია წინა სამუშაო ადგილიდან;
ანაზღაურება მაღალი - კვალიფიკაციის შესაბამისად;
საბუთების წარდგენის ბოლო ვადა - 2006 წლის 24 თებერვლის 15.00 საათი;
რუსთაველის გამზ. N31, 0 სართული; ტელ 43 91 28;
e-mail: rusiko@global-erty.net

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge








## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მარტოხელა უმწეო მოქალაქეებისათვის სასადილოებით უფასო კვებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

რაიონში მცხოვრებ 1560 მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვება უნდა განხორციელდეს ყოველდღე, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ოთხ ობიექტზე - ზღვის უბნის (ყოფილი თემქის დასახლება) ტერიტორიაზე (300 მოქალაქე), ნაძალადევის ტერიტორიაზე (810 მოქალაქე), გლდანის ტერიტორიაზე (300 მოქალაქე) და ავჭალის ტერიტორიაზე (150 მოქალაქე).

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 მარტიდან 17 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

4.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

- ინფორმაციას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში გაწეული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა № 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 თებერვლიდან 2006 წლის 15 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო წიკლაური - სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი. საკონტაქტო ტელეფონი 622538, 899 57 79 73, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

# ტრენინგ-მენეჯერის ვაკანსია

საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდი "ირმის ნახტომი" აცხადებს კონკურსს ტრენინგ-მენეჯერის თანამდებობის დასაკავებლად.

ტრენინგ-მენეჯერს დაევალება "ირმის ნახტომის" ტრენინგების მიმართულების გაძღოლა.

ძირითადი მოვალეობები:

- ტრენინგების დაგეგმვა;
- ტრენერების შერჩევა;
- ტრენინგების მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება;
- სატრენინგო მასალების განვითარება;
- კვლევების ჩატარება სატრენინგო პროგრამისა და სახელმძღვანელოს გაუმჯობესების მიზნით;
- სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ტრენერთათვის.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- ტრენინგ-მენეჯერად მუშაობის გამოცდილება;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნა;
- ტრენინგების ჩატარების გამოცდილება (სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში);
- სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირების განვითარებული ხედვა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) ფონდ "ირმის ნახტომში" ან ელ.ფოსტაზე: info@dlf.ge

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 2 მარტი, 16 საათი.**

მისამართი: ფონდი " ირმის ნახტომი", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დ.უზნაძის ქ. N52, თბილისი 0102, საქართველო, ოთახი 325. www.dlf.ge ელექტრონული ფოსტა: info@dlf.ge

**ირმის ნახტომი**

ს.ს.ი.პ. ფონდი " ირმის ნახტომი". საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. დ.უზნაძის 52, თბილისი 0102. საქართველო. ოთახი: 325. ტელ.: 956294. www.dlf.ge info@dlf.ge

# ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში 2006 წლის 10 და 21 თებერვალის გაზეთ "24 საათში" შევიდეს ცვლილებები.

კერძოდ:

1. კრიმინალისტიკური ლაბორატორიის აღჭურვილობის საქონელი - შესყოდვის ობიექტი მთლიანად შეიცვალოს შემდეგით.

| ლოტი | საქონლის დასახელება და ძირითადი მახასიათებელი | რაოდენობა | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | მაგიდის ლუპა/ულტრაიისფერი და თეთრი განათებით | 5 ცალი | |
| | მაგიდის ლუპა "რეგულა" 1005 01 | 10 ცალი | |
| | ვიდეო თვალი ***DCM 35 350 K*USB2.*0** | 6 ცალი | |
| | ვიდეო თვალი ***DCM 130 1.3MPIX*USB2.0*** | 1 ცალი | |
| | ტრინოკულარული მიკროსკოპი | 1 ცალი | |
| | მიკროსკოპი ***მბს-10*** | 7 ცალი | |
| | მუფელი/პროგრამული მართვა | 1 ცალი | |
| | ***UF ნათურა UF დეტექტორი MD 118*** | 73 ცალი | |
| | ელ ღუმელი (ლაბორატორიული) | 3 ცალი | |
| | ოპნ-3 | 1 ცალი | |
| ლოტი 2 | გაზქურა | 1 ცალი | |
| | რკინის ელექტრო ხერხი | 2 ცალი | |
| | რკინის მექანიკური ხერხი | 2 ცალი | |
| | რკინის მექანიკური ხერხის პირი | 30 ცალი | ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის განმავლობაში |
| | სპეც. სათვალე | 10 ცალი | |
| | სვერლოების ნაბორი | 2 ცალი | |
| | სამუშაო კომპლექტები ქანჩები | 3 ცალი | |
| | დრელი | 3 ცალი | |
| | გირაგი დიდი | 2 ცალი | |
| | გირაგი მცირე | 2 ცალი | |
| | შტანგენფარგალი | 2 ცალი | |
| | ტაიმერი | 4 ცალი | |
| | შპრიცი 60.0 და 120.0 | 100 ცალი | |
| | ვესტაკი | 1 ცალი | |
| | ხალათი სამედიცინო | 70 ცალი | |
| ლოტი 3 | დისტილატორი | 2 ცალი | |
| | ანალიზის სასწორი 0.0001 | 2 ცალი | |
| | ტექნიკური სასწორი 0.01 | 5 ცალი | |
| | მაკრატელი კუპერის | 5 ცალი | |
| | მაკრატელი ოფტალმო | 5 ცალი | |
| | მაკრატელი | 20 ცალი | |
| | მიკროტომი როტაციული | 1 ცალი | |
| | უკუმაცივარი | 10 ცალი | |
| | ამწოვი კარადა | 5 ცალი | |
| | სპექტროფოტომეტრი | 1 ცალი | |
| | გამომსახველი | 30 ცალი | |
| | სტერილური სინჯარა ხუფით | 4000ცალი | |
| | მაგიდა კედლის ანალიზური | 2 ცალი | |
| | გამადიდებელი სათვალე | 2 ცალი | |
| | ფოტო ქაღალდი | 20 ცალი | |
| ლოტი 4 | სტაციონალური სასწორი 200.0 სიზუსტე 0.01 | 1 ცალი | |
| | კარატმწონი პორტ 50ct სიზუსტე 0.01 ct | 6 ცალი | |
| | მულტიტესტერი ბრილიანტის და მოასანიტი | 1 ცალი | |
| | საუველირო ლუპა | 1 ცალი | |
| | საუველირო შტანგენი | 1 ცალი | |
| | ტესტი AU 10 KT (375 პრობა/14მლ) | 3 ცალი | |
| | ტესტი AU 14 KT (585 პრობა/14მლ) | 3 ცალი | |
| | ტესტი AU 18 KT (750 პრობა/14მლ) | 3 ცალი | |
| | ტესტი AU 24 KT (900 პრობა/14მლ) | 3 ცალი | |
| | ტესტი AG (14მლ) | 2 ცალი | |
| | ტესტი PT (14მლ) | 2 ცალი | |
| ლოტი 5 | ჩემოდნების კომპლექტი | 20 ცალი | |
| ლოტი 6 | ელ დენის მეხსიერება "UPS" | 1 ცალი | |

2. ***ავეჯის*** შესყიდვაზე - პრეტედენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდეო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლიარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ნაცვლად 7 მარტისა - 13 მარტის 10.00 საათიდან 13.30 საათამდე.

3. შეიცვალოს საბანკო რეკვიზიტები - საერთაშორისო ტენდერი სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის (სესვისი) შესყიდვაზე - დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინეთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ.თბილისი გ.გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

4. ამოღებული იქნას დაფინანსების წყარო - ბპი გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტი - კავშირგაბმულობის საშუალებების შესყიდვაზე.

5. 2006 წლის 21 თებერვლის გაზეთი "24 საათის გვერდი - ბ12-ზე გამოქვეყნებული განცხადება ავეჯის შესყიდვასთან დაკავშირებით გაუქმებული იქნას.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ.75-47-74, მობ. 8(99) 23-46-95.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს **კომპიუტერული მოწყობილობების სახარჯი მასალების შესასყიდად** და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

| N | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | 450C | 2 | |
| 2 | 51A | 36 | |
| 3 | 51D | 18 | |
| 4 | 52A | 18 | |
| 5 | 52C | 18 | |
| 6 | ABS 15A | 120 | |
| 7 | C1823 | 34 | |
| 8 | C3906A | 12 | |
| 9 | C4092A | 67 | |
| 10 | C4127A | 4 | |
| 11 | C4127X | 16 | |
| 12 | C4836A | 25 | |
| 13 | C4837A | 25 | |
| 14 | C4838A | 25 | |
| 15 | C4844A | 24 | |
| 16 | C4871a | 6 | |
| 17 | C4872a | 8 | |
| 18 | C4873a | 6 | |
| 19 | C4874a | 6 | |
| 20 | C4930A | 3 | |
| 21 | C4931A | 3 | |
| 22 | C4932A | 3 | |
| 23 | C4933A | 3 | |
| 24 | C4934A | 3 | |
| 25 | C4935A | 3 | |
| 26 | C51645 | 27 | |
| 27 | C6656A | 6 | |
| 28 | C6657A | 6 | |
| 29 | C8727A | 24 | |
| 30 | C8728A | 8 | |
| 31 | Canon LBP 3200-პრინტერისთვის | 1 | |
| 32 | E30 | 11 | ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ ნ.ჩხეიძის ქ.N2 |
| 33 | EP27a | 51 | |
| 34 | hp deskjet 3550-პრინტერისთვის | 10 | |
| 35 | hp41645d | 4 | |
| 36 | hpc6578d | 8 | |
| 37 | hpc6615d | 10 | |
| 38 | Q13338A | 24 | |
| 39 | Q2612A | 600 | |
| 40 | Q2612AHP | 17 | |
| 41 | Q2670A | 3 | |
| 42 | Q2681A | 3 | |
| 43 | Q2682A | 3 | |
| 44 | Q2683A | 3 | |
| 45 | Q5942A | 18 | |
| 46 | Q6511A | 120 | |
| | ტონერები ქსეროქსებისათვის | | |
| 47 | NPG-1 | 48 | |
| 48 | AB016FT | 4 | |
| 49 | AR-5120 | 4 | |
| 50 | ქსეროქსი Canon iR7161-სთვის | 50 | |
| 51 | ქსეროქსი Canon iR1605-სთვის | 50 | |
| 52 | ქსეროქსი Canon iR3570-სთვის | 50 | |
| 53 | ქსეროქსი Canon iR6621-სთვის | 50 | |
| | cleaning blade+drum | | |
| 54 | cleaning blade+drum Canon 6317 | 3 | |
| 55 | ქსეროქსი Canon iR7161-სთვის | 5 | |
| 56 | ქსეროქსი Canon iR1605-სთვის | 5 | |
| 57 | ქსეროქსი Canon iR3570-სთვის | 5 | |
| 58 | ქსეროქსი Canon iR6621-სთვის | 5 | |
| 59 | CD-R | 700 | |
| 60 | CD-RW | 200 | |
| 61 | 1.44" FD | 30 შეკვრა | |

2. კომპიუტერული მოწყობილობების სახარჯი მასალების მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 დღისა.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 15 მარტიდან 16 მარტის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმე;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 15 მარტამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 16 მარტს 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

გიორგი უშვერიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41

მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

**სააგენტოს სატენდერო კომისია**

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ლერმონტო-ვის ქ. N105-ში 3240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N105-ში, რომლის ნაწილზეც ამჟამად განლაგებულია კერძო პირთა მიერ უკანონოდ აგებული შენობა-ნაგებობები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი სახლი და საჭირო ინფრასტრუქტურა) მოწყობის მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 17 თებერვლის N36 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N105-ში მდებარე 3240 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N105-ში მდებარე 3240 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პიროებების გაუმჯობესების მიზნით საცხოვრებელი კომპლექსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N105.

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საცხოვრებელი კომპლექსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 3240 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 25 ლარი, სულ 81 000 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 25 ლარს, სულ 81 000 ლარს. მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს კონკურსის წესით გასაცემი ნაკვეთის 50%-ზე ანუ 1620 კვ.მ. მეტი. სართულიანობა დასაშვებია არაუმეტეს ათი სართულისა. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საცხოვრებელი სახლისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ობიექტების შესახებ.

საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალუ-რი მოცულობით (ესკიზის სახით) პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 4050 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 3240 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 81 000 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 50 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 50 000

ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 5000 ლარის გადახდა.

3. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 1620 კვ.მ. მიწის ფართზე, იმდაგვარად, რომ ლერმონტოვის ქ. N105-ში მდებარე შპს "აქსიომა"-ს ბალანსზე რიცხული სასაწყობო მეურნეობის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედელთან დატოვებული იქნეს 2-მეტრიანი სიგანის ზოლი, ხოლო კორპუსებთან მისასავლელი გზები და მიწისქვეშა კომუნიკაციები დაიტვირთოს სერვიტუტის უფლებით სახელ-მწიფოს სასარგებლოდ.

ბ) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრ-ცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გ) განახორციელოს ქ. ბათუმის ლერმონტოვისა და ბაგრატიონის ქუჩების გასწვრივ არსებული ტროტუარის კეთილმოწყობა და გამწვანების სამუშაოე-ბის განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრუ-ლოს არაუგვიანეს 20 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისათვის ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა საუკეთესო პროექტის შემოთავაზება. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული, ასევე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართიდან ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის კონკურსში მონაწილეთა მხრიდან მეტი ოდენობის ფართის შემოთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს 5%-ზე ნაკლები.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვე-ვაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 28 მარტს, $15^{00}$ სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 28 მარტს, $16^{00}$ სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102**
**მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.**
**საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.**
**ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402**

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურე-ბის გაუმჯობესების მიზნით ბარცხანისა და ბათუმის ნავთობგადამამუშა-ვებელი ქარხნის დასახლებაში არსებული პლაჟების მონაკვეთების იჯარით გადაცემის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმში, ბარცხანისა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დასახლებაში ზღვისპირა ზოლში მოსახლეობის გართობის, მომსახურებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 17 თებერვლის N37 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ბარცხანისა და ბათუმის ნავთობგადამამუ-შავებელი ქარხნის დასახლებაში არსებული საპლაჟო ზოლის მონაკვეთების (40-45 სექტორის ჩათვლით) იჯარით გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ბარცხანისა და ნავთობგადამამუშავებე-ლი ქარხნის დასახლებაში არსებული საპლაჟო ზოლის 150 გრძივი მეტრის მონაკვეთების იჯარით გადაცემა (40-45 სექტორი) 5 წლის ვადით.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გზატკეცილი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - სეზონური ტიპის კაფებარისა და მომსახურების კერის მოწყობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 200 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 1,05 ლარი, სულ 210 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 1,05 ლარს, სულ 210 ლარს. მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი დასაშვებია კონკურსის წესით გასაცემი ნაკვეთის 100%-ზე ანუ 200 კვ.მ. სართულიანობა დასაშვებია არაუმეტეს ერთი სართულისა, მსუბუქი ასაწყობი კონსტრუქციის ნაგებობის ჩადგმა. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარე-ბითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

პრეტენდენტმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს სექტორის სრულფასოვა-ნი მომსახურება, რომელშიც განთავსებულია საიჯარო ფართი. საპლაჟე ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პრეტენდენტთა მიერ სავალდე-ბულოა საკონკურსო სექტორების უზრუნველყოფა საპლაჟე ინვენტარით, ავეჯითა და მოწყობილობებით, კერძოდ: შეზლონგებით (მინიმუმ 36 ცალი), ქოლგებით (მინიმუმ 18 ცალი), გამოსაცვლელი კაბინები (მინიმუმ 4 ცალი), საშხაპეებით (მინიმუმ 2 ცალი). შესაძლებელია აგრეთვე აერარიუმის, სოლარიუმის, ბავშვთა და სპორტული მოედნების მოწყობა.

გამარჯვებული პრეტენდენტი (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული სექტორის მთელი ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტული ხმოვანი ფონი.

გამარჯვებული პრეტენდენტები (შემდგომში - მოიჯარეები) იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ:

- პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება, შესაბამისად საექსპლუატაციოდ მზადყოფნა 2006 წლის 10 მაისისათვის;
- სექტორების გამიჯვნა ასაკეცი ბილიკების საშუალებით;
- ერთიანი რადიოფიცირება და საინფორმაციო დაფების მოწყობა.

თითოეულ სექტორზე დასაშვებია:

- ანაკრები კონსტრუქციების საპლაჟე ინვენტარის შესანახი მოდულური სეზონური კიოსკების განთავსება;
- კვების მზა პროდუქტებისა და გამაგრილებელი სასმელების სარე-ალიზაციოდ არასტაციონარული ანაკრები კონსტრუქციების ფარდულის და მოძრავი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება.

დამსვენებელთა მომსახურება დასაშვებია მხოლოდ ერთჯერადი გამო-ყენების ჭურჭლით.

დაუშვებელია საკონკურსო ტერიტორიის გაცემა ქვეიჯარით. ასევე დაუშვებელია პლაჟის ტერიტორიაზე გადაადგილების რაიმე სახით შეზღუდვა.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 10,5 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 210 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 5 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 5 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 ლარის გადახდა.

3. იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე სეზონური კაფე-ბარის და მომსახურეობის კერის მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 200 კვ.მ. მიწის ფართზე.

ბ) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრუ-ლოს საკურორტო სეზონის დაწყებამდე.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვე-ვაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 28 მარტს, $15^{00}$ სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 28 მარტს, $16^{00}$ სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102**
**მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.**
**საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.**
**ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402**

# საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი

## მოწვევა კონკურსზე

**თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის, ადმინისტრაციული მცირე ინფრასტრუქტურისა და ვიზიტორთა მომსახურების მცირე ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება**

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის (GEF TF 023968 GE) განმახორციელებელ სააგენტოს (PIU), აცხადებს კონკურსს თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის, ადმინისტრაციული მცირე ინფრასტრუქტურისა და ვიზიტორთა მომსახურების მცირე ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ვიზორთა ინფრასტრუქტურა ძირითადად განფენილია თუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე:

- ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის ძირითადი კომპლექსი მდებარეობს ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილში და ზამთრის ოფისი კი ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალის განაპირას;
- ადმინისტრაციული მცირე ინფრასტრუქტურა განთავსებულია, როგორც ეროვნული პარკის ისე სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე
- ვიზიტორთა მომსახურების მცირე ინფრასტრუქტურა განთავსებულია მხოლოდ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის საპროექტო ორგანიზაციებს, რათა გამოხატონ კონკურსში მონაწილეობის ინტერესი. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო ინფორმაცია (საპრეზენტაციო ბროშურები, შესრულებული პროექტების აღწერა და ა.შ., სადაც ნაჩვენები იქნება როგორც ორგანიზაციის, ასევე პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, კურიკულუმ ვიტა), რაც დაადასტურებს მათ მიერ აღნიშნული ამოცანის მაღალკვალიფიციურად შესრულების შესაძლებლობას.

ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია იურიდიულად რეგისტრირებულმა (არასახელმწიფო) ორგანიზაციებმა და საკონსულტაციო ფირმებმა უნდა წარადგინონ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის დირექტორის - რატი ჯაფარიძის სახელზე, 2006 წლის 9 მარტის 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0179, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 9, V სართული, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის - atevdoradze@gpadc.org.ge და ტელეფონის - 251566 საშუალებით, ცენტრის შესყიდვების მთავარ სპეციალისტთან - ანა თევდორაძესთან.

# განცხადება

**ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. N19-ში დიდი ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე ახმედ მელაშვილის ქუჩის მხრიდან არსებული 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით**

**შესავალი**

ქ. ბათუმში, ბარათაშვილისა და მელაშვილის ქუჩების კვეთაში, მელაშვილის ქუჩის მხრიდან არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე ელექტრო-სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობის მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 17 თებერვლის N40 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ბარათაშვილის ქ. N19-ში (მელაშვილის ქუჩის მხრიდან თავისუფალ ტერიტორიაზე) 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ელექტროქვესადგურის აშენების პირობით ქ. ბათუმში, ბარათაშვილისა და მელაშვილის ქუჩების კვეთაში 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით მოსახლეობის ელექტროენერგიით მომსახურების გაუმჯობესება.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ბარათაშვილის ქ. N19;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მოსახლეობის ელექტროენერგიით მომსახურების გაუმჯობესება.
მიწის ნაკვეთის ფართობი: 100 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 45 ლარი, სულ 4500 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 45 ლარს, სულ 4500 ლარს. მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს კონკურსის წესით გასაცემი ნაკვეთის 70%-ზე ანუ 70 კვ.მ. მეტი. სართულიანობა დასაშვებია პროექტის შესაბამისად. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 225 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 4500 ლარის 5%-ს.

3. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 70 კვ.მ. მიწის ფართზე, იმდაგვარად, რომ არ იქნეს დარღვეული ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ გავლებული წითელი ხაზებით გამიჯნული ტერიტორია.

ბ) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გ) განახორციელოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

4. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა და დაასრუ-ლოს არაუგვიანეს 6 თვისა.

5. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობას-თან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;
დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 28 მარტს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 28 მარტს, 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ზე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102**
**მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.**
**საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.**
**ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402**

# განცხადება

**ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული სკვერის იჯარით გადაცემის მიზნით**

**შესავალი**

ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N1-ში არსებულ სკვერში მოსახლეობის გასართო-ბი და აქტიური დასვენების უმაღლესი კლასის კერის მოწყობის მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 17 თებერვლის N41 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ტაბიძის ქ. @N1-ში მდებარე 300 კვ.მ. სკვერის იჯარით გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N1-ში არსებული 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით გადაცემით მოსახლეობის აქტიური დასვენებისა და თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი ობიექტის მოწყობა.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ტაბიძის ქ. N1;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - კომერციული ობიექტის მოწყობა;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 300 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 0,72 ლარი, სულ 216 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 0,72 ლარს, სულ 216 ლარს. მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს კონკურსის წესით გასაცემი ნაკვეთის 30%-ზე ანუ 90 კვ.მ. მეტი. სართულიანობა დასაშვებია არაუმეტეს ერთი სართულისა, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის ჩადგმა. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით). პროექტში ასევე გათვალის-წინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 10,65 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 216 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 5 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 5 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 ლარის გადახდა.

3. იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე გასართობი ობიექტის მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 90 კვ.მ. მიწის ფართზე, იმდაგვარად, რომ არ იქნეს დარღვეული ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ გავლებული წითელი ხაზებით გამიჯნული ტერიტორია.

ბ) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გ) განახორციელოს ტაბიძის ქუჩის N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული სკვერისა და მის მიმდებარედ მოქმედი ტროტუარის მოვლა-კეთილოწყობა და გამწვანების სამუშაოების განხორციე-ლება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრულოს არაუგვიანეს 6 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობას-თან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;
დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 28 მარტს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 28 მარტს, 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ზე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102**
**მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.**
**საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.**
**ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402**

**დანართი N1**

**I**

**შ.პ.ს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს მიერ 2006 წლის 11 თებერვლის გაზეთ "24 საათში" საწვავის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული ღია ტენდერის განცხადების დაზუსტება (პუნქტებისა და ქვეპუნქტების შესწორება):**

პუნქტი 2.

| ლოტი | | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი<br>დიზელი | ლიტრი<br>ლიტრი | 18000<br>12000 |
| 2 | აირი | მ3 | 7000 |

პუნქტი 3.
მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის
მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნკური დავალების საფუძველზე, საბარათო სისტემის გამოყენებით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურებიდან.

პუნქტი 6.1.
იურიდიულ პირთათვის: ამოღებული იქნას "გ" ქვეპუნქტი.

პუნქტი 6.2.
ფიზიკურ პირთათვის: ამოღებული იქნას "გ" ქვეპუნქტი.
პუნქტი 7.1.
ამოღებული იქნას.
პუნქტი 9.
ამოღებული იქნას.
პუნქტი 10.
ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.
პუნქტი 11.
ამოღებული იქნას.

**II**

**შ.პ.ს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს მიერ 2006 წლის 11 თებერვლის გაზეთ "24 საათში" სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული ღია ტენდერის განცხადების დაზუსტება (პუნქტებისა და ქვეპუნქტების შესწორება):**

პუნქტი 2.
შესყიდვის ობიექტი: ლოტი 1. საბურავის ტიპი ყველა რადიალი.
პუნქტი 3.
მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის
მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნკური დავალების საფუძველზე.
პუნქტი 6.1.
ამოღებული იქნას "გ" ქვეპუნქტი.
პუნქტი 6.2.
ამოღებული იქნას "გ" ქვეპუნქტი.
პუნქტი 7.
ამოღებული იქნას 7.1. ქვეპუნქტი.
პუნქტი 9.
ამოღებული იქნას.
პუნქტი 10.
ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.
პუნქტი 11.
ამოღებული იქნას.

# ცვლილება სატენდერო განცხადებაში

შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის" 2006 წლის 10 თებერვალს მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1) მედიკამენტების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნას N300 (ოქსიგენატორი ტ)

2) ა) სამედიცინო სახარჯი მასალების ტენდერის ჩამონათვალში გაუქმდეს ორი ლოტი და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილ იქნას თითოეულ დასახელებაზე ცალკეულ ლოტებად.

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა ცალკეულ დასახელებაზე მიუთითონ მათ მიერ შემოთავაზებული მსგავსი თვისებებისა და ფუნქციების მქონე ანალოგის სახელწოდება.

გ) ტენდერში გამოვლინდება რამოდენიმე გამარჯვებული.

# საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი
## მ ო წ ვ ე ვ ა კ ო ნ კ უ რ ს ზ ე

**ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის, ადმინისტრაციული მცირე ინფრასტრუქტურისა და ვიზიტორთა მომსახურების მცირე ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება**

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის (GEF TF 023968 GE) განმახორციელებელ სააგენტოს (PIU), აცხადებს კონკურსს ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის, ადმინისტრაციული მცირე ინფრასტრუქტურისა და ვიზიტორთა მომსახურების მცირე ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ვიზორთა ინფრასტრუქტურა ძირითადად განფენილია ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე:

- ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის კომპლექსი მდებარეობს ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილში;
- ადმინისტრაციული მცირე ინფრასტრუქტურა განთავსებულია, როგორც ეროვნული პარკის ისე სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე
- ვიზიტორთა მომსახურების მცირე ინფრასტრუქტურა განთავსებულია მხოლოდ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის საპროექტო ორგანიზაციებს, რათა გამოხატონ კონკურსში მონაწილეობის ინტერესი. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო ინფორმაცია (საპრეზენტაციო ბროშურები, შესრულებული პროექტების აღწერა და ა.შ., სადაც ნაჩვენები იქნება როგორც ორგანიზაციის, ასევე პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, კურიკულუმ ვიტა), რაც დაადასტურებს მათ მიერ აღნიშნული ამოცანის მაღალკვალიფიციურად შესრულების შესაძლებლობას.

ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია იურიდიულად რეგისტრირებულმა (არასახელმწიფო) ორგანიზაციებმა და საკონსულტაციო ფირმებმა უნდა წარადგინონ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის დირექტორის - რატი ჯაფარიძის სახელზე, 2006 წლის 9 მარტის 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0179, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 9, V სართული, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის - atevdoradze@gpadc.org.ge და ტელეფონის - 251566 საშუალებით, ცენტრის შესყიდვების მთავარ სპეციალისტთან - ანა თევდორაძესთან.

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**ლოტი 1**
- 15 ერთეული რუსეთის წარმოების ავტომობილის ტექნიკური მომსახურება

**ლოტი 2**
- 18 ერთეული უცხოური წარმოების ავტომობილის ტექნიკური მომსახურება

შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 მარტიდან 16 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიული პირისათვის:*
1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და / ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
5. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

*ფიზიკური პირისათვის:*
1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
3. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა/ა 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 302003000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 15 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 93.47.39; 8 (99) 73.28.78; ქეთევან ბოლქვაძე, საკონტაქტო ტელეფონი: 93.13.97; მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7;

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" აცხადებს ღია ტენდერს მეტროპოლიტენის სადგურების ვესტიბიულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 ლოტად:

სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩატარდე თბილისის მეტროპოლიტენის შემდეგ სადგურებში ლოტი - I მეტროსადგური - "ისანი", ლოტი - II მეტროსადგური - "ავლაბარი", ლოტი - III მეტროსადგური - "თავისუფლების მოედანი", ლოტი - IV მეტროსადგური - "წერეთელი".

2. სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სასურველი ვადაა ორი თვე ხელშეკრულების დადებიდან.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

4. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ანგ.N173407 გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი N3/4, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886788) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 15 მარტის 16:00 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".

5. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირებისათვის**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები, ფაქსი).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგანტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზია) ნოტარიალურად დამოწმებული ასლი.

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზია) ნოტარიალურად დამოწმებული ასლი.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

8. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 15 მარტის 16 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი.

9. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 15 მარტის 16:00 სთ -ზე.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს სატენდერო წინადადება ერთი ან რამოდენიმე ლოტზე.

11. დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

12. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

13. დამატებითი ინფორმაცია და ჩასატარებელი სამუშაოების ნუსხა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სატენდერო აპარატის მდივნისაგან, საკონტაქტო ტელეფონი: 877-52-54-34, 35-60-26, შიდა ტელეფონი: 95-74, მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, II სართული, თბილისის მეტროპოლიტენი.

**შპს "თბილისის მეტროპოლიტენის"**
**სატენდერო კომისია**
**23 თებერვალი 2006**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს მაღალი ხარისხის **საკანცელარიო საქონლის შესასყიდად** და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

| N | საკანცელარიო საქონელი | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ქაღალდი A4 | 8000 შეკვრა | |
| 2 | ქაღალდი A3 | 1000 შეკვრა | |
| 3 | ფერადი ქაღალდი A4 (წითელი) | 10 შეკვრა | |
| 4 | ფერადი ქაღალდი A4 (ყვითელი) | 10 შეკვრა | |
| 5 | ფერადი ქაღალდი A4 (მწვანე) | 10 შეკვრა | |
| 6 | ფერადი ქაღალდი A4 (ლურჯი) | 10 შეკვრა | |
| 7 | კალკა | 30 რულონი | |
| 8 | ტუშის ფერადი პასტა (შავი) | 1000 ცალი | |
| 9 | ტუშის ფერადი პასტა (წითელი) | 500 ცალი | |
| 10 | ტუშის ფერადი პასტა (ლურჯი) | 1000 ცალი | |
| 11 | წებოვანი ქაღალდი | 4000 შეკვრა | |
| 12 | ჩასანიშნი ქაღალდი | 500 შეკვრა | |
| 13 | ფერადი ჩასანიშნი ქაღალდი | 1000 შეკვრა | |
| 14 | საშლელი | 800 ცალი | |
| 15 | საწერი კალამი | 10200 ცალი | |
| 16 | ფანქარი | 1500 ცალი | |
| 17 | ფერადი ფანქარი | 100 ცალი | |
| 18 | ფლომასტერი | 1000 ცალი | |
| 19 | ტუში | 200 ცალი | |
| 20 | ბაინდერი | 25000 ცალი | |
| 21 | სახაზავი | 500 ცალი | |
| 22 | პლასტიკური სწრაფჩამკერი | 30000ცალი | |
| 23 | სტეპლერი | 400 ცალი | |
| 24 | სტეპლერის ტყვია | 5000 კოლოფი | |
| 25 | სკრეპი | 5000 კოლოფი | |
| 26 | საკანცელარიო წიგნი | 1000 ცალი | |
| 27 | საკანცელარიო წიგნი 100 ფურცლიანი | 300 ცალი | |
| 28 | რვეული 40 ფურცლიანი | 800 ცალი | |
| 29 | ბლოკნოტი | 2000 ცალი | |
| 30 | ყოველდღიური | 600 ცალი | |
| 31 | სკოჩი | 700 ცალი | ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ ნ.ჩხეიძის ქ.N2 |
| 32 | ფაილი | 800000 ცალი | |
| 33 | მაკრატელი | 100 ცალი | |
| 34 | სათლელი | 200 ცალი | |
| 35 | მარკერი | 2500 ცალი | |
| 36 | კორექტორი პასტის | 1500 ცალი | |
| 37 | კალენდარი დაფით | 50 ცალი | |
| 38 | სახვრეტელა | 130 ცალი | |
| 39 | კლიპი | 3500 ცალი | |
| 40 | საკანცელარიო დანა | 250 ცალი | |
| 41 | წებო | 1000 ცალი | |
| 42 | საბეჭდი ლენტი | 200 ცალი | |
| 43 | სამაგიდო კომპლექტი | 150 ცალი | |
| 44 | საკანცელარიო ჯამი | 500 ცალი | |
| 45 | კალკულატორი | 150 ცალი | |
| 46 | ჭიკარტი | 1000 შეკვრა | |
| 47 | ჩასანიშნი ქაღალდის ყუთი | 500 ცალი | |
| 48 | კონვერტი | 20000 ცალი | |
| 49 | ფაქსის ქაღალდი | 1000 რულონი | |
| 50 | ფოტო ქაღალდი გლოსი პლოტერის | 10 რულონი | |
| 51 | დახურული ბაინდერი | 500 ცალი | |
| 52 | მაგნიტური ჭიქა სკრეპების | 300 ცალი | |
| 53 | საქართველოს სამაგიდე დროშა | 100 ცალი | |
| 54 | ევროკავშირის სამაგიდე დროშა | 100 ცალი | |
| 55 | საქართველოს დასადგმელი დროშა | 20 ცალი | |
| 56 | ევროკავშირის დასადგმელი დროშა | 20 ცალი | |
| 57 | განცხადების დაფა | 5 ცალი | |
| 58 | დაფის მარკერი | 100 ცალი | |
| 59 | ბეჭდის ბალიში | 20 ცალი | |
| 60 | კაპიროვკა | 20 შეკვრა | |
| 61 | ანტი სტეპლერი | 200 ცალი | |
| 62 | ლამინატორის ფირი | 10 ცალი | |

2. საკანცელარიო საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 15 მარტიდან 16 მარტის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 15 მარტამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 16 მარტს 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

გიორგი უშვერიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

**სააგენტოს სატენდერო კომისია**